

სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის „ევროპული მოდელი“:

ხსნა თუ დაბრკოლება წარმატებული სასამართლო რეფორმის გზაზე



გაკვეთილები საქართველოსთვის



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის „ევროპული
მოდელი“: ხსნა თუ დაბრკოლება წარმატებული სასამართლო რეფორმის გზაზე

გაკვეთილები საქართველოსთვის

თბილისი

2021



Kingdom of the Netherlands



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია პროექტის - „დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო სისტემის მხარდაჭერა“ ფარგლებში, რომელსაც „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და შეფასებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციას.

ავტორი: ანა პაპუაშვილი

კვლევაზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე, მარიამ გობრონიძე

ქართული ენის რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge>

info@socialjustice.org.ge

www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

1. შესავალი.....	1
2. „ევროპული მოდელის“ წარმოშობა: ისტორიული და პოლიტიკური წანამძღვრები.....	5
3. როგორია „ევროპული მოდელის“ სამართლებრივი ჩარჩო.....	12
4. „ევროპული მოდელის“ პრობლემური ნორმატიული ასპექტები	14
5. „ევროპული მოდელის“ დანერგვა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და მისი პრაქტიკული შედეგები	17
5.1. „ევროპული მოდელის“ პრობლემური ბუნება სლოვაკეთისა და რუმინეთის მაგალითზე.....	19
5.1.1. სლოვაკეთი.....	20
5.1.2. რუმინეთი	23
5.2. „ევროპული მოდელი“ და ქართული სასამართლო რეალობა.....	29
6. სად ვუშვებთ შეცდომას? გაკვეთილები საქართველოსთვის	35

1. შესავალი

დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის თავზე, საზოგადოებრივი ნდობით აღჭურვილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება, ქართული საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ შორეულ, ბუნდოვან ოცნებად რჩება. საზოგადოებრივი აზრი, წლების განმავლობაში, მუდმივად კრიტიკული იყო სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რომლის ლეგიტიმაციისათვის საზოგადოებრივი ნდობა აუცილებელი პირველწყაროა.¹ თუმცა მართლმსაჯულების მიმართ პროტესტი ყოველთვის უკავშირდებოდა ცალკეულ, უფრო ხშირად, პოლიტიკურად მგრძნობიარე საქმეებზე გაუმჭვირვალე და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს, 2004-2012 წლებში კი - სახელმწიფოს მკაცრად რეპრესიულ სისხლის სამართლის პოლიტიკას.² შესაბამისად, ამ მოვლენებზე ფრაგმენტული რეფლექსიის მიღმა, სასამართლოში არსებული პრობლემების წარმოშობის მიზეზებსა და გამოსავლის გზების ძიებაზე სისტემური, სიღრმისეული მსჯელობა და საზოგადოების კონსოლიდაცია ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

საზოგადოების უმეტესი ნაწილი ნაკლებად ინტერესდება სასამართლოში მიმდინარე პროცესებით³ და პოლიტიკური ხელისუფლებისაგან განსხვავებით, მის მიმართ მოთხოვნებიც ნაკლებია, რომ აღარაფერი ითქვას ცვლილებების საჭიროების გარშემო საზოგადოების ფართო ნაწილის გაერთიანებასა და პროტესტზე. შესაბამისად, პოლიტიკური ხელისუფლებისათვის მართლმსაჯულების რეფორმის მოთხოვნა ყოველთვის ფრაგმენტულად ებმის სხვა კონკრეტულ პოლიტიკურ მოთხოვნებს და ამ პროცესში სასამართლოს რეფორმა, ხშირად, გარკვეული მიზნების მიღწევის საშუალებად, ინსტრუმენტად აღიქმება და არა ღირებულებად - საზოგადოებრივ სიკეთედ, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის და თითოეული ინდივიდის წინაშე მდგარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის პროცესში.⁴

¹ ეკა მამრიკიშვილი, „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნა და სასამართლო ხელისუფლების ლეგიტიმაციის პრობლემა“, სტატიების კრებული მართლმსაჯულებაზე, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), გვ. 60, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3k9hR6J>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

² იხ. მაგალითად, ფრიდომ ჰაუსი, ერი გარდამავალ პროცესში: საქართველო (2012); თომას ჰამერბერგის ანგარიში, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, მისი ვიზიტი საქართველოში 18-20 აპრილი 2011, ევროპის საბჭო, 30 ივნისი, 2011; აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, დემოკრატიის ბიურო, ადამიანის უფლებები და შრომა, „ქვეყნის ანგარიში ადამიანის უფლებათა პრაქტიკების შესახებ, 2012 წლისათვის: საქართველო“, 2012; ციტირებული ნაშრომში: ჰოვარდ ვერნი, გარდამავალი მართლმსაჯულების პერსპექტივები საქართველოში, გარდამავალი მართლმსაჯულების საერთაშორისო ცენტრი, თებერვალი, 2017, გვ. 7, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kdXjdp>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

³ იხ. მაგალითად, NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვის შედეგები: საზოგადოების განწყობა საქართველოში (2021 წლის ივლისი), სადაც კითხვაზე, რომელი ეროვნული დონის საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი, სასამართლო სისტემა დასახელა მხოლოდ გამოკითხულთა 2%-მა, ხოლო იმ საკითხებს შორის, რომლებზეც პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება პარლამენტში, სასამართლო სისტემა მოიხსენია მხოლოდ 3%-მა; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oI5Nxi>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

⁴ სოფო ვერძეული, ვინ და რა არგუმენტებით ითხოვს სასამართლო რეფორმას?, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მარტი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sKPrEd>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

ამის მიუხედავად, მართლმსაჯულების რეფორმა, დღემდე პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ თემად რჩება. სასამართლო ხელისუფლების გამართულად ფუნქციონირების მნიშვნელობაზე მუდმივად საგანგებოდ უთითებენ როგორც ადგილობრივი აქტორები,⁵ ასევე, საქართველოს საერთაშორისო პარტნიორები, თავიანთ შეფასებებში.⁶ 2012 წლიდან მოყოლებული, ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების რამდენიმე ტალღის შემდეგ, რეფორმის ალტერნატიული კონცეფციები ჩნდება პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო დაპირებებში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის.⁷ ამ საკითხმა თავი იჩინა არჩევნების შემდეგ განვითარებული პოლიტიკური კრიზისის განსამუხტად ევროკავშირის მონაწილეობით მიმდინარე პოლიტიკურ მოლაპარაკებებშიც, სადაც შეთანხმების ერთ-ერთ პუნქტად „ამბიციური სასამართლო რეფორმა“ დასახელდა.⁸ შესაბამისად, საინტერესოა, სასამართლო ხელისუფლების აკვარგიანობაზე ფართო საზოგადოებრივი მსჯელობისა და კონსენსუსის არარსებობის ფონზე, რამ შეუნარჩუნა წლების განმავლობაში ამ საკითხს პოლიტიკური აქტუალობა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ქართული სასამართლოს რეფორმები, უპირატესად, საერთაშორისო ვალდებულებებს და ევროკავშირთან დაახლოების პროცესში დაწესებულ მოთხოვნებს მიჰყვება.⁹ ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის შესაბამისი ორგანიზაციების მიერ ერთობლივად დადგენილ სამართლებრივ სტანდარტებს ენიჭება. ამასთანავე, საქართველოს გამოცდილება ამ მიმართულებით უნიკალური არ არის. მსგავსი ისტორია აქვს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტსაბჭოთა სივრცისა და კომუნისტური წარსულის მქონე სახელმწიფოთა უმრავლესობას,

⁵ იხ. მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს მართლმსაჯულების რეფორმის დაწყებისკენ მოუწოდებს, 19 მაისი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oGoTDS>, წვდომის თარიღი: 08.10.2021; სახალხო დამცველი მონაწილეობას არ მიიღებს პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენაში, 30 ივნისი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mvWo9j>, წვდომის თარიღი: 08.10.2021; კოალიცია პარლამენტს მართლმსაჯულების რეფორმაზე მუშაობის დაწყებისკენ მოუწოდებს, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, 18 მაისი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AltJbR>, წვდომის თარიღი: 08.10.2021; სასამართლო რეფორმის ახალი პერსპექტივა; კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, 21 ივნისი 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iGZwy7>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

⁶ იხ. მაგალითად, ევროკავშირის განცხადებები საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის პროცესებთან დაკავშირებით: „პრესსპიკერის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შერჩევის პროცესთან დაკავშირებით“, 5 ოქტომბერი, 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mnz6Eb>, წვდომის თარიღი: 08.10.2021; „ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრეს-სპიკერის განცხადება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შერჩევის პროცესთან დაკავშირებით“, 7 აპრილი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gl04bJ>, წვდომის თარიღი: 08.10.2021; „ევროკომისიის პრეს-სპიკერის განცხადება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის დანიშვნასთან დაკავშირებით“, 14 ივლისი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mr0cdG>, წვდომის თარიღი: 08.10.2021; ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განცხადება მოსამართლეთა კონფერენციის შესახებ, 30 ოქტომბერი, 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mqTYza>, წვდომის თარიღი: 08.10.2021; აშშ-ის საელჩოს განცხადება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ, 15 ივლისი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3D8KOse>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

⁷ „ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა სასამართლო რეფორმის თაობაზე მემორანდუმს მოაწერეს ხელი“, 13 მარტი 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3D9hemn>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

⁸ „სამომავლო გზა საქართველოსთვის“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2War8D6>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

⁹ სოფო ვერძეული, ვინ და რა არგუმენტებით ითხოვს სასამართლო რეფორმას?, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მარტი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sKPrEd>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

სადაც სასამართლო რეფორმის საკითხი დღის წესრიგში სწორედ დემოკრატიული ტრანზიციისა და ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში დაისვა. შესაბამისად, ეს იყო არა შიდა საზოგადოებრივი დიალოგის, წარსულის გააზრებისა და კონსენსუსის ძიების შედეგი, არამედ, უმეტესწილად, საერთაშორისო აქტორების ჩართულობისა და წნეხის პირობებში, დროის მოკლე მონაკვეთში განხორციელებული რეფორმა.¹⁰

ამ ქვეყნებისთვის, საქართველოს მსგავსად, რეფორმის სახელმძღვანელო ხედვად შეთავაზებული იყო სასამართლო ხელისუფლების მოწყობის ე.წ. „ევროპული მოდელი“.¹¹ ეს მოდელი განსაკუთრებულ აქცენტს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ავტონომიურობაზე აკეთებს და ძლიერი, პოლიტიკური ხელისუფლებისგან მკაცრად იზოლირებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებობას გულისხმობს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს სასამართლოსთვის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. ამასთანავე, ეს მოდელი, ტრანზიციული დემოკრატიის ქვეყნებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების რეკომენდაციების საფუძველზე, მიჩნეულ იქნა „უნივერსალურად სწორ გადაწყვეტად“¹² და „საუკეთესო პრაქტიკად“.¹³

დღეისათვის, საქართველოს მსგავსად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დიდ ნაწილში სასამართლო რეფორმის საკითხი კვლავაც აქტუალურია,¹⁴ რაც ამ ქვეყნების მიერ აქამდე არჩეული გზის პრობლემურობაზე შეიძლება მიუთითებდეს. სასამართლო ხელისუფლების „ევროპული მოდელის“ დანერგვამ მოლოდინები ნაკლებად გაამართლა, მეტიც, სახელმწიფოთა ნაწილში სასამართლო სისტემის მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო გახდა, რამაც, რეფორმების წარმატებით გაგრძელებისა და დასრულების პროცესი, მნიშვნელოვნად შეაფერხა.¹⁵

¹⁰ იქვე.

¹¹ სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის ამ კონკრეტული მოდელის სახელწოდება - ე.წ. „ევროპული მოდელი“ გამოყენებულია აკადემიურ ლიტერატურაში. მაგალითისათვის, იხილეთ: Denis Preshova et al., The Effectiveness of the “European Model” of Judicial Independence in the Western Balkans: Judicial Councils as a Solution or a New Cause of Concern for Judicial Reforms, Centre For the Law of EU External Relations, 2007/1, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3y2rl8W>; წვდომის თარიღი: 08.10.2021; ასევე: Michal Bobek & David Kosar, Global Solutions, Local Damages: A Critical Study in Judicial Councils in Central and Eastern Europe, German Law Journal, Vol. 15 No. 07, SSRN Electronic Journal, January 2013, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ghRPgx>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

¹² Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1257.

¹³ სოფო ვერძეული, ვინ და რა არგუმენტებით ითხოვს სასამართლო რეფორმას?, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მარტი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sKPrEd>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

¹⁴ სასამართლო ხელისუფლების რეფორმის საკითხი დღეის მდგომარეობითაც მწვავედ დგას ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოებში, ასევე, რუმინეთში, სლოვაკეთში, უკრაინასა და მოლდოვაში. ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხილეთ მაგალითისთვის: Christina Dallara, Democracy and Judicial Reforms in South-East Europe: Between the EU and the Legacies of the past, Springer International Publishing, Switzerland, 2014; იხილეთ: Denis Preshova et al., The Effectiveness of the “European Model” of Judicial Independence in the Western Balkans: Judicial Councils as a Solution or a New Cause of Concern for Judicial Reforms, Centre For the Law of EU External Relations, 2007/1; Spreading Democracy and the Rule of Law? The Impact of EU Enlargement on the Rule of Law, Democracy and Constitutionalism in Post-Communist Legal Orders, Springer, 2006; Judicial Independence in Transition, Anja Seibert – Fohr, Max-Planck-Institut für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht, Heidelberg, 2012; John Lough & Iulian Rusu, why is Progress Towards Rule of Law so Challenging? The Cases of Ukraine and Moldova, BERTELSMANN FOUNDATION (ED.), 2021, et al.

¹⁵ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1258.

ამგვარი კრიტიკა, ცხადია, ამ სახელმწიფოთა დემოკრატიზაციის პროცესში ევროპული ინსტიტუტებისა და საერთაშორისო აქტორების მიერ გაწეულ ძალისხმევას არ აუფასურებს. მეტიც, მათი მეთვალყურეობისა და აქტიური დახმარების გარეშე, შესაძლოა, რეფორმების პროცესი კიდევ უფრო რთული/წარუმატებელი ყოფილიყო. თუმცა, ვფიქრობთ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილების გათვალისწინებით, გარკვეული ცოდნა უკვე დაგროვდა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ამ პროცესების კრიტიკულად შესაფასებლად. ამასთანავე, კრიტიკულად უნდა გაანალიზდეს როგორც უშუალოდ საქართველოში მიმდინარე პროცესი, ისე ზოგადი გაბატონებული მიდგომა სასამართლო რეფორმაზე, რომლის პირველადი შედეგებიც, როგორც ჩვენთან, ისე ევროპის რიგ სახელმწიფოებში, არცთუ სახარბიელოა. პრობლემის მაქსიმალურად ფართო პრიზმიდან დანახვა და გააზრება მხოლოდ სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ქართული სასამართლო სისტემის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და ძირეულ გარდაქმნებზე მსჯელობის დასაწყებად.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ზემოაღნიშნული დისკუსიის დაწყების პროცესში წვლილის შეტანის მცდელობაა. ნაშრომში, პირველ რიგში, განხილულია სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის „ევროპული მოდელის“ წარმოშობა და ის ისტორიული, პოლიტიკური თუ სამართლებრივი წანამდგვრები, რომელთა წყალობითაც სასამართლო სისტემის ამგვარ ნაირსახეობას დღეისათვის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობაში და, მათ შორის, საქართველოშიც ვხვდებით.

შემდგომი თავები ეხება „ევროპული მოდელის“ სამართლებრივ ჩარჩოსა და მის კრიტიკულ ანალიზს, როგორც ნორმატიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ასევე, კონკრეტული სახელმწიფოების - სლოვაკეთისა და რუმინეთისა და საქართველოს მაგალითებზე დაყრდნობით.

ანალიზის შედეგები კი ცხადყოფს, რომ ქართულ სასამართლო რეალობაში არსებული პრობლემები არ არის უჩვეულო. მეტიც, ის ძალიან ემსგავსება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დიდ ნაწილში სასამართლო რეფორმების გამოცდილებას და „აკმაყოფილებს“ ყველა იმ პრობლემურ ასპექტს, რაც „ევროპულ მოდელს“ გააჩნია და რის გამოც, ამ უკანასკნელის მიმართ გამოთქმული კრიტიკის მასშტაბები ბოლო პერიოდში სულ უფრო ფართოვდება.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ნაშრომის მიზანი არ არის, მკითხველს ქართული სასამართლო ხელისუფლების წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრის გზები შესთავაზოს, არამედ, ხელი შეუწყოს ამ გამოწვევების კრიტიკულად გააზრებასა და მათთან გასამკლავებლად სასიცოცხლოდ აუცილებელი დისკუსიის პროცესს. სასამართლო რეფორმის პოლიტიკურ დღის წესრიგში დაბრუნების ფონზე, წინამდებარე შეფასება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ქართულ სასამართლო სისტემაში ძირეული გარდაქმნების დაწყების საჭიროებაზე სასაუბროდ.

2. „ევროპული მოდელის“ წარმოშობა: ისტორიული და პოლიტიკური წანამდგერები

კანონის უზენაესობის იდეაზე დაფუძნებული დემოკრატიების მშენებლობის პროცესში, ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, როგორც უპირობო საზოგადოებრივ სიკეთეს.¹⁶ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ყველა წამყვანმა საერთაშორისო თუ რეგიონალურმა ორგანიზაციამ, მნიშვნელოვანი შრომა და რესურსი გაიღო კანონის უზენაესობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის გაუმჯობესების გზაზე სამართლებრივი რეფორმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობის პროცესში.¹⁷

რაოდენ გასაოცრადაც არ უნდა ჟღერდეს, არ არსებობს კონკრეტული, თანმიმდევრული ნორმატიული დოქტრინა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ.¹⁸ არსებობს მხოლოდ სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებებში გაბნეული, ზოგადი შინაარსის სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც დემოკრატიული ტრადიციების მქონე სახელმწიფოებისთვის სასამართლოს დამოუკიდებლობის ზოგად ნორმატიულ ჩარჩოს აყალიბებს.¹⁹ თუმცა, როდესაც საქმე ამ პრინციპების პრაქტიკაში განმარტებასა და მათ დანერგვას ეხება, ამ სახელმწიფოთა მიდგომები თანაბრად ერთსულოვანი სულაც არ არის.

განსაკუთრებულ აზრთა სხვადასხვაობას სასამართლოს დამოუკიდებლობის განმარტება იმ ნაწილში იწვევს, რომელიც ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების პრინციპს ეხება და პოლიტიკურ და სასამართლო ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ხასიათს განსაზღვრავს. დასავლური დემოკრატიების ერთი ნაწილი სრულებით არ გამორიცხავს სასამართლო ხელისუფლების დაკომპლექტებაში აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების ჩართულობას, მაშინ როდესაც სახელმწიფოთა მეორე ჯგუფში სასამართლო სისტემის ადმინისტრირება მთლიანად პოლიტიკური ხელისუფლებისგან იზოლირებულ და დამოუკიდებელ ორგანოებს აქვს მინდობილი.²⁰ შეკავებისა და გაწონასწორების პრინციპის ამგვარი განსხვავებული ინტერპრეტაცია კი,

¹⁶ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1257.

¹⁷ იქვე.

¹⁸ Christina Parau, the Drive for Judicial Supremacy, in *Judicial Independence in Transition*, Anja Seibert – Fohr, Max-Planck-Institut für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht, Heidelberg, 2012, გვ. 622-623; Also Daniel Smilov, EU Enlargement and the Constitutional Principle of Judicial Independence, *Spreading Democracy and the Rule of Law? The Impact of EU Enlargement on the Rule of Law, Democracy and Constitutionalism in Post-Communist Legal Orders*, Springer, 2006, 313-334, გვ. 314-316.

¹⁹ Daniel Smilov (2006), გვ. 316- 317, ნაშრომში მაგალითებად მითითებულია: The United Nations “Basic Principles on the Independence of the Judiciary”, approved in 1985; the “Judges’ Charter in Europe”, adopted on March 20, 1993, in Wiesbaden (Germany) by the European Association of Judges, regional group of the International Association of Judges; Recommendation No. R (94) 12 of the Committee of Ministers of the Council of Europe to Member States on the Independence, Efficiency and Role of Judges, adopted on October 13, 1994; the European Charter on the Statute for Judges of the Council of Europe, approved in Strasbourg on July 8-10, 1998; the “Universal Charter of the Judge”, unanimously adopted in November 1999 in Taipei (Republic of China, Taiwan) by the International Association of Judges; სამართლებრივი პრინციპების მსგავსი ჩამონათვალი გვხვდება ასევე ნაშრომში: Michal Bobek & David Kosar (2013).

²⁰ Daniel Smilov (2006), გვ. 318.

თავის მხრივ, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს შორის განსხვავებულ ურთიერთდამოკიდებულებაში აისახება,²¹ რასაც ამ ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის განსხვავებული მოდელების არსებობამდე მივყავართ.²²

მყარი, ტრადიციული დემოკრატიების ნაწილი, მოსამართლეების, ხალხის მიერ არჩევის გზით, სასამართლოში მაღალი დოზით საზოგადოებრივი წარმომადგენლობის იდეას ემხრობა. შესაბამისად, ამგვარად დაკომპლექტებული სასამართლო ხელისუფლების საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ხარისხი მაღალია. სახელმწიფოთა მეორე ნაწილში საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება სასამართლოს ადმინისტრირებაში პოლიტიკური ხელისუფლების ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობაში ვლინდება. თუმცა არსებობს ისეთი ქვეყნებიც, სადაც სასამართლოს დამოუკიდებლობა ხისტად გადაწონის მისი ანგარიშვალდებულების საჭიროებას. ასეთი სისტემები აქცენტს აკეთებს პოლიტიკური ხელისუფლებისა და ელექტორატისაგან მკაცრად დამოუკიდებელ სასამართლოზე, როგორც სოციალურ ჯგუფზე, რომელიც ეყრდნობა პროფესიული ეთიკის ნორმებსა და სტანდარტებს, როგორც ანგარიშვალდებულების ფორმას.²³ თუმცა აქვე აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ და განსხვავებულ სისტემას აერთიანებს: სასამართლო ხელისუფლების თითოეული მოდელი ამ ქვეყნებში ინდივიდუალური გზის მიების პროცესში და ხანგრძლივი დროის გასვლის შემდგომ ჩამოყალიბდა.

კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული ნორმატიული დოქტრინის არარსებობის გამო, აკადემიურ ლიტერატურაში სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის სტანდარტებს, ხშირად, კრიტიკულად აფასებენ და ზოგჯერ „მითად“ მოიხსენიებენ.²⁴ ეს კრიტიკა განსაკუთრებით მიემართება ევროპის კონტინენტს, სადაც ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ინსტიტუტების ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა სასამართლო ხელისუფლების ჯეროვნად განხორციელების სტანდარტები, რომლებიც, მათივე მითითებით, სასამართლოს დამოუკიდებლობის ე.წ. „საერთო ევროპულ კონსტიტუციურ პრინციპს“ ემყარება.²⁵ თუმცა, თავად ევროკავშირის მიდგომების ზედაპირულად გაცნობის შედეგადაც კი ნათელია, რომ დამოუკიდებლობის ამგვარი „კონსტიტუციური პრინციპის“ შინაარსი არცთუ ისე ნათელია,²⁶ მისი უზრუნველყოფი სასამართლოს ინსტიტუციური ჩარჩოები კი, თავად ევროპის სახელმწიფოებს შორისაც არ არის ერთგვაროვანი და მეტიც, ხშირად, სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

შესაბამისად, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თუკი არ არსებობს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის შეთანხმებული, ერთგვაროვანი გაგება და არც სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის იმგვარი მოდელი, რომელიც პრაქტიკაში

²¹ Christina Parau (2012), გვ. 623-625.

²² იქვე.

²³ Daniel Smilov (2006), გვ. 318; Also, Carlo Guarnieri and Patrizia Pederzoli, *The Power of Judges: A Comparative Study of Courts and Democracy*, Oxford University Press, Oxford, 2002.

²⁴ Daniel Smilov (2006), გვ. 316.

²⁵ Daniel Smilov (2006), გვ. 314.

²⁶ იქვე, გვ. 320-334.

ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ამ პრინციპის ხორცშესხმას, როგორ იქცა „ევროპული მოდელი“ დემოკრატიული გარდაქმნის პროცესში მყოფი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის ევროპის მიერ შეთავაზებულ ერთადერთ ალტერნატივად.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, ძირითადი პრინციპები საერთაშორისო დონეზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1985 წელს მიიღო.²⁷ პრინციპები ფართო გაგებით სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირების რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს შეეხებოდა, როგორც მიზანს, თუმცა ამ მიზნის მიღწევის საშუალებათა შერჩევის შესაძლებლობას წევრ სახელმწიფოთა ხელში ტოვებდა.²⁸ მსგავს მიდგომას ეყრდნობა 2002 წელს შემუშავებული „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“,²⁹ რომელიც ფართოდ აღიარებული და რეკომენდებულია საერთაშორისო დონეზე (მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალური და ეკონომიკური საბჭოსა და ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის, ამერიკის იურისტთა ასოციაციის, ევროპის საბჭოს მიერ) და დანერგილია გაეროს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობაში. ამ დოკუმენტში პირდაპირ აისახა სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზანი, თუმცა კონკრეტულ მოდელზე საუბარი არც აქ ყოფილა.³⁰ დოკუმენტში სახელდებით გაიწერა შვიდი ძირითადი ღირებულება (დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ღირსება, წესიერება, თანასწორობა, კომპეტენცია, გულმოდგინება), როგორც სასამართლო ხელისუფლების არსობრივი მახასიათებელი.³¹ საინტერესოა, რომ „ბანგალორის პრინციპების“ შემუშავების მიზანი, სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით გაეროს ძირითადი პრინციპების შევსება იყო, „სასამართლოებში არსებული კორუფციის მზარდი დონის და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფი სათანადო მექანიზმების ნაკლებობის ფონზე“.³² თუმცა დოკუმენტში არაფერი წერია ანგარიშვალდებულების პრინციპთან დაკავშირებით. მეტიც, ის იწყება მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიაზე მითითებით, რომელიც თითქმის სრულებით გამორიცხავს ანგარიშვალდებულების გათვალისწინების შესაძლებლობას.³³

ამგვარად, სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით შემუშავებულ საერთაშორისო სტანდარტებში დამოუკიდებლობის პრინციპს თავიდანვე წამყვანი ადგილი დაეთმო, რაც, სასამართლოს ანგარიშვალდებულების მექანიზმების არსებობის საჭიროებას, ერთი შეხედვით, ეჭვქვეშ აყენებდა. თუმცა სახელმწიფოებისათვის სასამართლოს

²⁷ Basic Principles on the Independence of the Judiciary, Adopted by the Seventh United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders held at Milan from 26 August to 6 September 1985 and endorsed by General Assembly resolutions 40/32 of 29 November 1985 and 40/146 of 13 December 1985, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3j2iaB9>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

²⁸ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1259.

²⁹ Bangalore Principles of Judicial Conduct of 2002, Nov. 25–26, 2002, U.N. Doc. E/CN.4/2003/65 Annex (Jan. 10, 2003), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mjvfrQ>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

³⁰ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1259.

³¹ Bangalore Principles of Judicial Conduct of 2002, paras. 1.1.-6.7.

³² Lorne Neudorf, Promoting Independent Justice in a Changing World, 12 HUM. RTS. L. REV. (2012), გვ. 107, 112 (in Bobek & Kosar (2013), გვ. 1260, (footnote 9).

³³ Bangalore Principles of Judicial Conduct of 2002, Value I, principle 1.1. Cited in: Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1260.

დამოუკიდებლობის უზრუნველყოფი კონკრეტული ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნის რეკომენდაცია არ გაჟღერებულა.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპის ხორცშესხმის და სასამართლო სისტემის ინსტიტუციური მოწყობის სტანდარტიზაციის პროცესი ღრმა და შორსმდინავალი აღმოჩნდა ევროპაში. ადრეულ 90-იან წლებამდე, როგორც ევროკავშირი, ისე ევროპის საბჭო ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის კონკრეტულ მოდელებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1993 წელს ევროკავშირის ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ მიღება,³⁴ რომელიც დროში დაემთხვა საბჭოთა კავშირის დაშლისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დემოკრატიული ტრანზიციის პროცესის დასაწყისს. ამ კრიტერიუმების დადგენამ უზრუნველყო ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის ნორმატიულ დონეზე გაწერა და არსებული კრიტერიუმების, როგორც პირობის (conditionality), დადგენა გაწევრიანების მსურველი სახელმწიფოებისათვის.³⁵

საინტერესოა, რომ არც „კოპენჰაგენის კრიტერიუმებშია“ სახელდებით ნათქვამი სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, როგორც ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთ კრიტერიუმზე, ამ პრინციპის უზრუნველსაყოფად საჭირო კონკრეტული ინსტიტუციური მოწყობის მოდელზე რომ არაფერი ვთქვათ. დოკუმენტის ძირითადი ტექსტი აქცენტს აკეთებს მხოლოდ სასამართლო ინსტიტუტების „სტაბილურობასა“ და „ეფექტიანობაზე“, რამაც უნდა უზრუნველყოს დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობათა დაცვა, საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება და გაწევრიანების კრიტერიუმების ეფექტიანი შესრულება.³⁶ თუმცა, ასეთ ბუნდოვან ტერმინოლოგიას ხელი არ შეუშლია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს შესაბამისი ინსტიტუტებისათვის, მნიშვნელოვანი რესურსები გაეღოთ სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის სტანდარტების დასადგენად და მათი აქტიური ლობირებისათვის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.³⁷

„ევროპულ მოდელს“, ფაქტობრივი უპირატესობა, „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ მიღების შემდეგ, მალევე - 1994 წელს, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის თაობაზე შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე მიენიჭა.³⁸ დოკუმენტის თანახმად, „მოსამართლეთა პროფესიულ კარიერასთან დაკავშირებულ საკითხებზე ყოველგვარ გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს მთავრობისა და ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელი ორგანო. ამასთან, ასეთი ორგანო უნდა დაკომპლექტდეს მოსამართლეთა მიერ არჩეული წევრებისაგან და თავად იღებდეს

³⁴ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1260.

³⁵ იქვე, Also, Christina Parau (2012), გვ. 619.

³⁶ Daniel Smilov (2006), გვ. 320; Also, The Accession Criteria/Copenhagen Criteria of 1993, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3k4xKLL>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

³⁷ Christina Parau (2012), გვ. 620.

³⁸ Recommendation No. R (94) 12 to Member States on the Independence, Efficiency and Role of Judges, 1994 Y.B. EUR. CONV. ON H.R. 453, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mmwupY>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

გადაწყვეტილებას საკუთარ პროცედურულ წესებთან დაკავშირებით“.³⁹ თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ევროკავშირიც და ევროპის საბჭოც ამ დროისათვის ჯერ კიდევ მოქნილ დამოკიდებულებას იჩენდნენ სასამართლოს იმ ალტერნატიული ინსტიტუციური მოდელების მიმართ, რომლებიც უკვე არსებობდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და „პრაქტიკაში გამართულად მუშაობდა“.⁴⁰ ამგვარი მიდგომა შეიცვალა ევროკავშირის გაფართოების პროცესში, 2004-2007 წლების პერიოდში, რომელიც მოიცავდა ცენტრალური ევროპის და ბალტიისპირეთის ქვეყნებს და კიდევ უფრო ხისტი სახე მიიღო 2007 წლის შემდგომ პერიოდში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოებში, ევროკავშირთან დაახლოების პროცესში.⁴¹ სხვაგვარად, ევროკავშირის მიერ მხოლოდ რეკომენდაციის სახით შეთავაზებულმა კონკრეტულმა ინსტიტუციურმა მოდელმა ბოლო წლებში უკვე „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ განმარტებაში ჰპოვა ასახვა და, ფაქტობრივად, სამართლებრივ ვალდებულებად იქცა.⁴² საერთაშორისო მიდგომების მსგავსად, აქაც, ევროკომისიის მიერ „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ განმარტების პროცესში შემუშავებული კანონის უზენაესობის იდეა სასამართლოს დამოუკიდებლობის, ეფექტიანობის, სამართლიანი სასამართლოს კონცეფციებს დაეყრდნო (ანგარიშვალდებულების გამოკლებით) და, შესაბამისად, კანდიდატი ქვეყნების ყოველწლიურ შეფასებებში გაჩნდა სპეციალური სექცია სახელწოდებით, „სასამართლო სისტემა“.⁴³

თუმცა საინტერესოა, რომ აკადემიურ ლიტერატურაში „ევროპული მოდელის“ წარმოშობა და მისთვის ფაქტობრივი უპირატესობის მინიჭება მაინც გამოცანად რჩება. არც ევროკავშირისა და არც ევროსაბჭოს ინსტიტუტებს სახელდებით არ გაუწერიათ სასამართლოს ასეთი ინსტიტუციური მოწყობის ნორმატიული საფუძვლები, ამ საკითხის გარშემო არც ფართო დისკუსია წარმართულა. ორივე ორგანიზაციამ უბრალოდ უზრუნველყო სხვადასხვა საკონსულტაციო ორგანიზაციების (მათ შორის, ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), სამოსამართლო საბჭოების ევროპული ქსელი (ENCJ), ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (Venice Commission)) მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თავმოყრა და გაერთიანება, მათზე სიღრმისეული მსჯელობისა და შინაარსობრივი შეფასებების გარეშე.⁴⁴ ამასთანავე, როგორც მსოფლიოში, ისე თავად ევროპაშიც და კონკრეტულად ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის „ევროპული მოდელი“ სულაც არ მიიჩნევა არათუ უნივერსალურ, არამედ დომინანტურ მოდელადაც კი.

სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის მხრივ, ევროპაში დღეისათვის გამოარჩევენ ხუთ მოდელს:⁴⁵

³⁹ იქვე, პრინციპი I(2)(c).

⁴⁰ Id. at para. 16 (Explanatory Memorandum)., Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1261.

⁴¹ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1261.

⁴² Daniel Smilov (2006), გვ. 323-325.

⁴³ Cristina Dallara, *Democracy and Judicial Reforms in South-East Europe, Between the EU and the Legacies of the Past*, Springer International Publishing, Switzerland, 2014, გვ. xix.

⁴⁴ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1261.

⁴⁵ მოდელები და მათი მოკლე მიმოხილვა იხილეთ სტატიაში - Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1265 – 1267, ამგვარი კლასიფიკაცია, თავის მხრივ, ეყრდნობა ნაშრომს: Nicola Picardi, *La Ministère de la Justice et les autres*

ა) „იუსტიციის მინისტრის მოდელი“ (*The Ministry of Justice Model*) - ინსტიტუციური მოწყობის ყველაზე ძველ სახედ მიიჩნევა. ამ მოდელის მიხედვით, მოსამართლეთა დანიშვნის, დაწინაურების, სასამართლოს ადმინისტრირების პროცესში მნიშვნელოვან (თუმცა არა ერთპიროვნულ) როლს იუსტიციის მინისტრი ასრულებს;⁴⁶

ბ) „იუსტიციის საბჭოს მოდელი“ (*The Judicial Council Model*) - გულისხმობს დამოუკიდებელი შუამავალი კოლეგიური ორგანოს არსებობას პოლიტიკურ ხელისუფლებასა და მოსამართლეებს შორის, რომელსაც მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები აქვს მოსამართლეთა კარიერასთან და დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. რიგ შემთხვევაში, ასევე ასრულებს მნიშვნელოვან როლს სასამართლოს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის კუთხით;⁴⁷

გ) „სასამართლოს სამსახურის მოდელი“ (*The Courts Service Model*) - შუამავალი კოლეგიური ორგანოა, რომელიც ძირითადად კონცენტრირებულია სასამართლოს ორგანიზაციულ და მენეჯმენტის საკითხებზე და შეზღუდული როლი აქვს მოსამართლეთა კარიერასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამ ფუნქციას ხშირად საკონსულტაციო ორგანოს სახით შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლო კომისიები ასრულებენ;⁴⁸

დ) „ჰიბრიდული მოდელი“ (*The Hybrid Model*) - აერთიანებს წინა სამი მოდელის განსხვავებულ მახასიათებლებს იმგვარად, რომ ამგვარი სისტემების მოქცევა ერთი კონკრეტული ჯგუფის ქვეშ რთულად წარმოსადგენია;⁴⁹ მაგალითისათვის, უნგრეთის სასამართლო სისტემაში თანაარსებობს ძლიერი იუსტიციის საბჭო და სასამართლოს ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ორგანო, ხოლო კვიპროსში სასამართლოს ადმინისტრირებაზე უფლებამოსილებებს იუსტიციის მინისტრი და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ინაწილებენ.

ე) „სოციალისტური მოდელი“ (*The Socialist Model*) - დღეის მდგომარეობით, ფორმალურად აღარ არსებობს, თუმცა კომუნისტური წარსულის სახელმწიფოების ნაწილი დღემდე სრულად ვერ გათავისუფლდა ამ მოდელის მახასიათებლებისაგან, რაც, ძალაუფლების, პარტიისადმი დაქვემდებარებულ, სასამართლო სისტემის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირების (სასამართლოს თავმჯდომარეები და გენერალური

modèles d'administration de la justice en Europe, in L'INDIPENDENZA DELLA GIUSTIZIA, OGGI. JUDICIAL INDEPENDENCE, TODAY: LIBER AMICORUM IN ONORE DI GIOVANNI E. LONGO (Philippe Abravanel et al. eds., 1999).

⁴⁶ სასამართლოს მოცემული ინსტიტუციური მოდელი არსებობს გერმანიაში, ავსტრიაში, ჩეხეთსა და ფინეთში.

⁴⁷ მითითებული ინსტიტუციური მოდელი მოქმედებს ბელგიაში, ბულგარეთში, საფრანგეთში, უნგრეთში, იტალიაში, ჰოლანდიაში, პოლონეთში, პორტუგალიაში, რუმინეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში და ესპანეთში.

⁴⁸ მითითებული ინსტიტუციური მოდელი მოქმედებს დანიაში, ირლანდიაში, ნორვეგიაში და შვედეთში.

⁴⁹ მითითებული ინსტიტუციური მოდელი მოქმედებს ინგლისში, უელსში, ესტონეთში, უნგრეთში (2011 წლის შემდეგ), ისლანდიაში, შვეიცარიაში და ევროპის მიკროსახელმწიფოებში.

პროკურორები) ხელში კონცენტრაციას გულისხმობდა.⁵⁰ ამ პირებს ჯერ კიდევ აქვთ გავლენა რიგ სახელმწიფოთა სასამართლოებზე.⁵¹ შესაბამისად, ამ მოდელზე მითითება განსაკუთრებით რელევანტურია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის, სადაც ეს მახასიათებლები მეტნაკლებად ჯერ კიდევ არის შემორჩენილი.⁵²

შესაბამისად, ზემოაღნიშნული ჩამონათვალის ზედაპირულად გაცნობაც კი საკმარისია იმის სათქმელად, რომ სასამართლოს ინსტიტუციური მოწყობის „ევროპული მოდელი“ რეალურად იუსტიციის საბჭოს მოდელის მხოლოდ ერთ-ერთი ნაირსახეობაა და სულაც არ ასახავს ევროპულ რეალობას. სახელმწიფოთა უმრავლესობაშიც კი, სადაც იუსტიციის საბჭო არსებობს, სასამართლო ხელისუფლება „ევროპული მოდელის“ კრიტერიუმებს სრულად არ აკმაყოფილებს.⁵³ შესაბამისად, ამ მოდელის მსგავსი „პოპულარობა“ და ისიც ამგვარ ფაქტობრივ მოცემულობაში, გაოცებას იწვევს.

„ევროპული მოდელის“ მთავარი განმასხვავებელი მახასიათებელი ის არის, რომ გარე დამოუკიდებლობის ძლიერი ბერკეტებით აღჭურვილ საბჭოს მოსამართლეთა კარიერასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ენიჭება. ამგვარი მიდგომა, შეიძლება ითქვას, ემყარება რწმენას, რომ მოსამართლეები სანდო და კეთილსინდისიერი „მოთამაშეები“ არიან, რომლებმაც ზედმიწევნით კარგად იციან საკუთარი ვალდებულებები და საკმარისად კომპეტენტურები არიან მართლმსაჯულების დამოუკიდებლად ადმინისტრირების პროცესში. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ საუკეთესო მიდგომა, ამგვარი ერთობის პოლიტიკური პროცესისგან მაქსიმალურად დისტანცირებაში მდგომარეობს.⁵⁴

დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი სახელმწიფოებისათვის, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ინსტიტუტების მიერ, სასამართლოს ინსტიტუციური მოწყობის ასეთი მოდელის შეთავაზება, სხვა ფაქტორებთან ერთად, ნაკარნახევი იყო მძიმე კომუნისტური წარსულით, რომლის პირობებშიც, სასამართლოები აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარტიისადმი დაქვემდებარებულ ინსტიტუციებს წარმოადგენდნენ.⁵⁵ შესაბამისად, ჩაითვალა, რომ მსგავსი მემკვიდრეობისგან გასათავისუფლებლად, აუცილებელი ნაბიჯი იყო პოლიტიკური ხელისუფლებისაგან სასამართლოს მაქსიმალურად დისტანცირება,⁵⁶ თუმცა ერთი

⁵⁰ Christina Parau (2012), გვ. 641; სოციალისტურ მოდელთან დაკავშირებით, ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ, რომ სასამართლო და პროკურატურა ერთმანეთთან ძალიან იყო გადაჯაჭვული. ხშირად, სწორედ პროკურორი იყო გავლენების კუთხით შუამავალი რგოლი პარტიასა და სასამართლო ხელისუფლებას შორის.

⁵¹ ვრცლად, სლოვაკეთის უზენაესი სასამართლოს მაგალითზე, იხილეთ ნაშრომში: David Kosar, Samuel Spac, post-communist chief justices in Slovakia: from Transmission Belts to Semi-autonomous Actors? Hague Journal on the Rule of Law (2021)13, გვ. 107-142.

⁵² Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1267.

⁵³ Nuno Garoupa & Tom Ginsburg, Guarding the Guardians: Judicial Councils and Judicial Independence, 57 American Journal of Comparative Law, n. 20 (2009), გვ. 122.

⁵⁴ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1268.

⁵⁵ Christina Parau (2012), გვ. 641.

⁵⁶ James E. Moliterno et al., Independence Without Accountability: The Harmful Consequences of EU Policy Toward Central and Eastern European Entrants, Fordham International Law Journal, Vol. 42, Issue 2, Article 7, 2018, გვ. 505-516, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kdbmzE>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

მნიშვნელოვანი ფაქტორის გაანალიზების გარეშე: ამგვარად „დაბინძურებული“ პოლიტიკური წარსულის პირობებში, სასამართლო ჩაგრული გამონაკლისი იყო თუ უბრალოდ არსებული სისტემის ნაწილი.⁵⁷

3. როგორია „ევროპული მოდელის“ სამართლებრივი ჩარჩო

როგორც აღინიშნა, სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის „ევროპული მოდელი“ არ ემყარება რაიმე კონკრეტულ ნორმატიულ საფუძველს. მეტიც, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს შესაბამისი ინსტიტუტების მიერ მის „ფავორიტად“ აღიარებამდე, ეს მოდელი ფართო დისკუსიისა და განხილვის საგანი არ გამხდარა არც ეროვნულ, არც რეგიონულ დონეზე. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მის დანერგვამდე, დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის ამგვარი მაღალი გარანტიებით აღჭურვილ იუსტიციის საბჭოს პრაქტიკული ანალოგი არ ჰქონია. მასთან ყველაზე მიახლოებულ ინსტიტუტად იტალიის იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიიჩნევა, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაშიც, არის მთელი რიგი კულტურული და სამართლებრივი ფაქტორები, რომლებიც მას „ევროპული მოდელის“ ანალოგად ვერ აქცევს.⁵⁸

„ევროპული მოდელი“ იმ სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონული საკონსულტაციო ორგანოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შეჯერებაზე დაფუძნებულ პაკეტს წარმოადგენს, რომელთა წევრების აბსოლუტური უმრავლესობა მოქმედი ან ყოფილი მოსამართლეა.⁵⁹ ამგვარ საკონსულტაციო ორგანოთა შემადგენლობა პოლიტიკური აქტორებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა მნიშვნელოვან დეფიციტს განიცდიდა და განიცდის დღემდე. შესაბამისად, სულაც არ არის მოულოდნელი ამ ორგანიზაციების მიდგომები, პრიორიტეტები და მყარი რწმენა, რომ ზოგადად, სახელმწიფოში, კანონის უზენაესობის იდეა ყველაზე კარგად სასამართლო ხელისუფლების ძლიერი ავტონომიის პირობებში მიიღწევა.⁶⁰

⁵⁷ Christina Parau (2012), გვ. 639-640.

⁵⁸ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1268, 1283; აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ თავად იტალიის იუსტიციის უმაღლესი საბჭო არაერთხელ გააკრიტიკეს კორპორატივიზმის, ასევე, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის ნაკლებობის გამო. ვრცლად იხილეთ: CARLO GUARNIERI & PATRIZIA PEDERZOLI, THE POWER OF JUDGES: A COMPARATIVE STUDY OF COURTS AND DEMOCRACY 54-59, 174-77 (2002); M. L. Volcansek, *Judicial Selection in Italy: A Civil Service Model with Partisan Results*, in APPOINTING JUDGES IN AN AGE OF JUDICIAL POWER: CRITICAL PERSPECTIVES FROM AROUND THE WORLD 159 (Kate Malleson & Peter R. Russell eds., 2006).

⁵⁹ მაგალითისათვის, ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანო მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენციის საკითხებზე სრულად მოსამართლეებით არის დაკომპლექტებული; სამოსამართლო საბჭოების ევროპული ქსელი (ENCJ), დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ევროკომისიის პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს, მართალია, ღიაა სხვა პროფესიის წარმომადგენლებისათვის, თუმცა წევრთა აბსოლუტურ უმრავლესობას მოსამართლეები ქმნიან; ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (Venice Commission) - ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანო კონსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებით, სადაც კომისიის შემადგენლობის უმრავლესობას მოსამართლეები ქმნიან. იხ. Denis Preshova et al. (2007).

⁶⁰ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1262; Also, Cristina Parau (2012), გვ. 646-647.

ამგვარად, ერთი შეხედვით, რთულია იმის მტკიცება, რომ კონკრეტული ევროპული თუ საერთაშორისო ორგანიზაციები სასამართლოს ინსტიტუციური მოწყობის სპეციფიკურ მოდელს ლობირებენ, რადგან ამგვარი დათქმა ნორმატიულ დონეზე უბრალოდ არ არსებობს. თუმცა, ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს ინსტიტუციური დიალოგის, ასევე, ევროკავშირის დოკუმენტების გაცნობა სხვა დასკვნის საფუძველს იძლევა.

იუსტიციის საბჭოს „ევროპული მოდელი“ შემდეგ ხუთ ძირითად მოთხოვნას ემყარება:⁶¹

ა) იუსტიციის საბჭოსთვის კონსტიტუციური სტატუსის მინიჭების აუცილებლობა;⁶²

ბ) საბჭოს წევრთა მინიმუმ ნახევარს ქმნიან მოსამართლეები, რომლებიც აირჩევიან მოსამართლეთა კორპუსის მიერ;⁶³

გ) საბჭოს აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების და არა მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციები;⁶⁴

დ) საბჭოს გააჩნია გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილება მოსამართლეთა კარიერასა და მათ დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით;⁶⁵

ე) საბჭოს ხელმძღვანელობს უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარე ან სახელმწიფოს პოლიტიკურად ნეიტრალური მეთაური (რომელიც, შესაძლოა, ახორციელებდეს ფორმალურ უფლებამოსილებებს ან/და იყოს კონსტიტუციის გარანტი) და სხვ.⁶⁶

ეს კრიტერიუმები არ არის ამომწურავი და დღეისათვის შემუშავებული სხვადასხვა სამართლებრივი სტანდარტები დამატებით უფრო მკაცრ მოთხოვნებსაც ითვალისწინებს.⁶⁷ თუმცა ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი მახასიათებლების ერთობლიობაში წაკითხვა ნათელს ხდის, რომ სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის „ევროპული მოდელის“ მთავარი არსი მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, ძლიერი თვითმმართველობა და ხელისუფლების სხვა შტოებისგან მათი მაქსიმალური დისტანცირებაა.⁶⁸

⁶¹ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1262- 1263.

⁶² EUR. NETWORK OF COUNCILS FOR THE JUDICIARY (ENCJ), Councils for the Judiciary Report 2010–2011 para. 1.4; CONSULTATIVE COUNCIL OF EUROPEAN JUDGES (CCJE), Opinion no. 10 (2007) para. 11 (Nov. 23, 2007); European Charter on the Statute for Judges para. 1.2 (July 8–10, 1998).

⁶³ EUR. NETWORK OF COUNCILS FOR THE JUDICIARY (ENCJ), Councils for the Judiciary Report 2010–2011 para. 2.1; CONSULTATIVE COUNCIL OF EUROPEAN JUDGES (CCJE), Opinion no. 10 (2007) para. 18 (Nov. 23, 2007); General Assembly of the European Network Councils for the Judiciary, Self-Governance for the Judiciary: Balancing Independence and Accountability, para. 4(b) (May 2008), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37VF72x>, წვდომის თარიღი: 08.10.2021; Recommendation CM/Rec (2010) 12 of the Committee of Ministers to Member States on Judges: Independence, Efficiency, and Responsibilities, para. 27 (Nov. 17, 2010), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mfp4Vy>; წვდომის თარიღი: 08.10.2021.

⁶⁴ ENCJ, at paras. 3.4, 3.13; CCJE, at paras. 48, 49, 60. European Charter on the Statute for Judges, at paras. 3.1, 4.1, 7.2; Recommendation CM/Rec (2010) 12, at para. 46.

⁶⁵ ENCJ, at para. 3.1; CCJE, at para. 42. European Charter on the Statute for Judges, at para. 1.3.

⁶⁶ ENCJ, at para. 4.1; CCJE, at para. 33.

⁶⁷ See, e.g., ENCJ, at paras. 3.5–3.9, 3.14–3.18; CCJE, at paras. 65–90. Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1263 (footnote 29).

⁶⁸ ENCJ, at para. 1.4. Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1263.

4. „ევროპული მოდელის“ პრობლემური ნორმატიული ასპექტები

დემოკრატიზაციის პროცესში მყოფ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ძლიერი და დამოუკიდებელი იუსტიციის საბჭოს ინსტიტუტის შექმნის აქტიურად ლობირებიდან თითქმის სამი ათწლეულის შემდეგ, სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის ეს მოდელი სულ უფრო მეტად ხდება კრიტიკული შეფასების საგანი, როგორც ნორმატიული თვალსაზრისით, ისე მისი პრაქტიკაში დანერგვის შემდგომი შედეგების გათვალისწინებითაც.

უმთავრეს კრიტიკას წარმოადგენს ლეგიტიმაციის ნაკლებობა. ეს პრობლემა, რომელიც დგას როგორც რეგიონულ, ისე საერთო ევროპულ დონეზე, იმით არის გამოწვეული, რომ სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის სახელმძღვანელო სტანდარტები, როგორც ზემოთ აღინიშნა, შემუშავდა ძირითადად საკონსულტაციო ორგანოების მიერ, დახურულ ფორმატში, ფაქტობრივად, მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით, ფართო დისკუსიისა და მსჯელობის ნაკლებობის პირობებში. ამასთანავე, არც თავად ამ საკონსულტაციო ორგანოებშია სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლობა ფართო და ინკლუზიური.⁶⁹ ლეგიტიმაციის ნაკლებობა პრობლემას წარმოადგენს შიდა-ეროვნულ დონეზეც, რამდენადაც არსებული მოდელი პოლიტიკური ხელისუფლების, შესაბამისად, მოქალაქეების, როგორც ელექტორატის მხრიდან სასამართლო ხელისუფლების ფორმირებაში მონაწილეობას მთლიანად გამორიცხავს ან ამისათვის სუსტ მექანიზმებს ითვალისწინებს.⁷⁰ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში მყოფ სახელმწიფოებში სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის ეს მოდელი, უმეტესად, ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი მსჯელობის ნაკლებობის პირობებში წარიმართა.

„ევროპული მოდელის“ კრიტიკის მიზნებისათვის, სასამართლოს ამგვარი ინსტიტუციური მოწყობის ლეგიტიმაციის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული სასამართლოს ანგარიშვალდებულების ნაკლებობის საკითხთან. ამავეს მოწმობს ევროპისა და საერთაშორისო ორგანოთა დუმილი ბოლო დრომდე, ანგარიშვალდებულების მექანიზმების თაობაზე მკაფიო სტანდარტების შემუშავებასთან დაკავშირებით.⁷¹ არაერთი საერთაშორისო თუ რეგიონული სამართლებრივი სტანდარტი მიუთითებს, რომ სასამართლოს ანგარიშვალდებულებამ არცერთ შემთხვევაში არ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ სასამართლოს დამოუკიდებლობა.⁷² თუმცა აკადემიურ ლიტერატურაში სულ უფრო ხშირად ისმის არგუმენტი, რომ სასამართლო ხელისუფლების ანგარიშვალდებულება და

⁶⁹ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1269-1270.

⁷⁰ ლეგიტიმაციის პრობლემებზე ვრცელ მსჯელობას ვხვდებით ნაშრომებში: Christina Parau (2012); Daniel Smilov (2006), Michal Bobek & David Kosar (2013).

⁷¹ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1280.

⁷² General Assembly of the European Network Councils for the Judiciary, Self-Governance for the Judiciary: Balancing Independence and Accountability, para. 10, (May 2008), at para. 10.

დამოუკიდებლობა, ფაქტობრივად, თანაბარი მნიშვნელობის პრინციპებია და ისინი ყოველთვის უნდა აბალანსებდეს ერთმანეთს.

ანგარიშვალდებულების საჭიროებაზე მითითება ასევე უკავშირდება ზოგადად სასამართლოების ძალაუფლების ზრდის ტენდენციას.⁷³ თუმცა, ამ საჭიროების დაკმაყოფილება ნაკლებ რეალისტურად ჩანს იზოლირებულ, ძლიერი იუსტიციის საბჭოს პირობებში. სამოსამართლო ეთიკის ნორმები და პროფესიული სტანდარტები და მათი დაცვის დონე შესაძლებელია მაღალი იყოს მყარი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებში, თუმცა განსხვავებულ სურათს ვხვდებით განვითარებად, დემოკრატიული მმართველობისაკენ ტრანზიციის პროცესში მყოფ სახელმწიფოებში. შესაბამისად, არსებობს საფრთხე, რომ ანგარიშვალდებულების სათანადო სტანდარტების არარსებობის პირობებში, ამგვარ სახელმწიფოებში სასამართლო ხელისუფლება მიდრეკილი იყოს კორუფციის, ნეპოტიზმის, შიდა გავლენების ზრდისა და ანგარიშვალდებულებისათვის თავის არიდებისაკენ.⁷⁴

დამატებით, მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის სტანდარტებზე მსჯელობისას, სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ეფექტიანობასთან ერთად, გამჭვირვალობის მნიშვნელობაზე აქცენტი მხოლოდ უკანასკნელ წლებში გახდა აქტუალური.⁷⁵ თუმცა გამჭვირვალობის მოთხოვნები ძირითადად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ეხება და არა მთლიანად სასამართლო ხელისუფლებას.⁷⁶

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი კრიტიკა უკავშირდება ბოლო დრომდე „ევროპული მოდელის“ მომწესრიგებელი ჩარჩოს დუმილს დამოუკიდებლობის შიდა საფრთხეებთან დაკავშირებით, რომელიც საბოლოოდ უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ინდივიდუალური სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. ინსტიტუციური მოწყობის ეს მოდელი ძირითადად კონცენტრირებულია დამოუკიდებლობის გარე საფრთხეებზე და ფაქტობრივად უარყოფს სასამართლო ხელისუფლების შიგნიდან მომავალი საფრთხის შესაძლებლობას და არასასურველ გავლენებს ინდივიდუალურ მოსამართლეებზე, განსაკუთრებით კი ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი მოსამართლეების მხრიდან. სისტემის შიგნით არსებულმა გავლენიანმა პირებმა, გარე ლეგიტიმაციის ნაკლებობისა და ანგარიშვალდებულების სუსტი/არარსებული მექანიზმების პირობებში, შესაძლოა, თანამოაზრეთა გაჩენისა და სისტემის საკუთარ პრეფერენციებზე მოსაწყობად, ასევე,

⁷³ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1271; Also, Christina Parau (2012); Also, David Kosař, *The Least Accountable Branch*, 11 INT'L J. CONST. L. 234, 259–60 (2013); ასევე, სოფო ვერძეული, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში (2013–2021 წლები), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2UwHEwO>; წვდომის თარიღი: 08.10.2021.

⁷⁴ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1271; Also, David Kosař (2013).

⁷⁵ E.g., ENCJ, *supra* note 24, at paras. 1.7, 7.2; *Budapest Resolution*, *supra* note 25.

⁷⁶ E.g., CCJE *supra* note 24, at Part VI; ENCJ, *supra* note 24, at para. 2.5.

სასამართლოს შიგნით განსხვავებული აზრისა და კრიტიკის ჩასახშობად, ზედმიწევნით კარგად გამოიყენონ სისტემის ჩაკეტილობა.⁷⁷

სწორედ ამ მსჯელობას ებმის „ევროპული მოდელის“ შემდეგი კრიტიკა, რომლის თანახმადაც, სასამართლო სისტემაში ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი მოსამართლეები, სასამართლოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები იმავე დროს, შეიძლება იყვნენ იუსტიციის საბჭოს წევრები. არ არსებობს არანაირი კვოტა, რომელიც საბჭოს შემადგენლობაში ზემო ინსტანციების მოსამართლეთა მაქსიმალურ ოდენობას დაადგენდა. შესაბამისად, არ არის აუცილებელი, სასამართლო ხელისუფლების ყველა ინსტანციის წარმომადგენლობა იყოს უზრუნველყოფილი საბჭოში, რაც სასამართლოს შიგნით ძალაუფლებრივი იერარქიის რისკებს აჩენს.⁷⁸ ამგვარად, მოსამართლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად მხარდაჭერილი პრინციპია „ევროპული მოდელის“ ფარგლებში, ძალიან სწრაფად შეიძლება იქცეს სასამართლო ხელისუფლებაში მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირების თითქმის შეუზღუდავ ძალაუფლებად.⁷⁹

საინტერესოა, რომ სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის „ევროპული მოდელი“, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, შეთავაზებული იქნა როგორც საუკეთესო პრაქტიკა, წინასწარ გამზადებული რეფორმების ერთობლიობა, რომლის შედეგებიც ყველა ქვეყანაში, ინდივიდუალური გარემოებებისგან დამოუკიდებლად, დაპირებულის იდენტური უნდა ყოფილიყო.⁸⁰ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მოდელი სასამართლო სისტემის თავისებურებებს კონკრეტულ სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, როგორცაა მისი სამართლებრივი კულტურა, ისტორიული მემკვიდრეობა და კულტურული ტრადიციები, ფაქტობრივად, არ ითვალისწინებს. ეს ფაქტი კიდევ უფრო მეტი კრიტიკის საგანი ხდება იმ ფონზე, როდესაც ევროპის ხანგრძლივი დემოკრატიული წარსულის მქონე ქვეყნები ან ზედმიწევნითი სიფრთხილით მიუდგნენ არსებული მოდელის დანერგვას ან საერთოდაც უარი თქვეს მასზე.⁸¹

საბოლოო ჯამში, სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის „ევროპული მოდელი“ ძირითად აქცენტს აკეთებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და მართლმსაჯულების ხარისხის ზრდაზე, თუმცა ყურადღების მიღმა ტოვებს ანგარიშვალდებულების საჭიროებას, რითაც აჩენს სასამართლოს შიგნით ძალაუფლებრივი იერარქიის ჩამოყალიბების, კორპორატივიზმის, კორუფციისა და

⁷⁷ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1271; Also, Adrian Vermeule, *The Judiciary Is a They, Not an It: Interpretive Theory and the Fallacy of Division*, 14 J. CONTEMP. LEGAL ISSUES 549 (2009); Béla Pokol, *Judicial Power and Democratization in Eastern Europe*, in *EUROPEANISATIONS AND DEMOCRATISATION: THE SOUTHERN EUROPEAN EXPERIENCE AND THE PERSPECTIVE FOR THE NEW MEMBER STATES OF THE ENLARGED EUROPE* 165, 182, 188 (2005).

⁷⁸ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1264, 1271-1272; Also, CCJE, *supra* note 24, at para. 26. *Contra* ENCJ, *supra* note 24, at para. 2; European Charter on the Statute for Judges, *supra* note 24, at para. 1.3; *Budapest Resolution*, *supra* note 25, at para. 4(b); *Recommendation CM/Rec (2010) 12*, *supra* note 25, at para. 27.

⁷⁹ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1271-1271; Also, Christina Parau (2012); სლოვაკეთის მაგალითთან დაკავშირებით ვრცლად იხილეთ, David Kosar & Samuel Spac (2021).

⁸⁰ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ.1272-1273; Also, James E. Moliterno et al. (2018).

⁸¹ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1272.

ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შეზღუდვის მნიშვნელოვან რისკებს. ეს მოცემულობა თვალსაჩინოა როგორც ნორმატიული, ისე ემპირიული თვალსაზრისით, სწორედ იმ ქვეყნების მაგალითზე, რომლებმაც ეს მოდელი საკუთარ სისტემაში დანერგეს, თუმცა შედეგი დაპირებულისგან არსებითად განსხვავებული აღმოჩნდა.

5. „ევროპული მოდელის“ დანერგვა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და მისი პრაქტიკული შედეგები

მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობასა და თვითმმართველობაზე დაფუძნებული სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოდელი, შესაძლოა, გამართულად მუშაობდეს ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ გარემოსა და მყარი დემოკრატიული ტრადიციების მქონე სახელმწიფოებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისეთ ქვეყნებში, სადაც სამოსამართლო ეთიკის და თვითშეზღუდვის ხანგრძლივი გამოცდილება არსებობს, მეტად მოსალოდნელია მოსამართლეებისა და იუსტიციის საბჭოს წევრების მიერ პირად ინტერესებზე მაღლა მართლმსაჯულებისა და სახელმწიფო-საზოგადოებრივი ინტერესების დაყენება. თუმცა სასამართლო ხელისუფლების ამგვარი მოდელის ინტეგრირება დემოკრატიზაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში, განსხვავებულ და ხშირად კატასტროფულ სურათსაც იძლევა.⁸² ისეთ საზოგადოებებში, რომელთა წევრებსაც ზემოაღნიშნულ ღირებულებებთან და ეთიკურ სტანდარტებთან გაუცხოება აქვთ, რეალური სტრუქტურული რეფორმის, მოსამართლეთა კორპუსის ბუნებრივი ცვლილებისა და ამ საკითხზე ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის/მზაობის არარსებობის პირობებში, იუსტიციის საბჭოების დაარსება და სასამართლო ხელისუფლებისათვის თვითმმართველობის მაღალი ხარისხის მინიჭება, შეიძლება ნაადრევი და სავალალო შედეგების მომტანი აღმოჩნდეს.⁸³

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური სივრცის ნაწილის დემოკრატიზაციის პროცესი და აქ გატარებული სასამართლოს ინსტიტუციური რეფორმები სწორედ მსგავს ისტორიას ყვება. ევროპის ამ რეგიონის სახელმწიფოებმა, ერთი მხრივ, ნორმატიულ დონეზე შექმნეს დამოუკიდებელი და თვითმმართველი სასამართლო ხელისუფლება, თუმცა, მეორე მხრივ, არ გაითვალისწინეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უსაფრთხო და დამორჩილებული საჯარო მოხელის როლიდან პიროვნულად და მენტალურად დამოუკიდებელ და კრიტიკულად განწყობილ მოსამართლედ ქცევისათვის აუცილებელ მენტალურ ტრანსფორმაციას გულისხმობს.⁸⁴ ტრანსფორმაცია, რომელიც იმავე დროს მოიცავს მკაცრად ფორმალისტური, ტექსტობრივი და ჰიპერპოზიტივისტური

⁸² იქვე, გვ. 1280-81.

⁸³ Nuno Garoupa & Tom Ginsburg (2009), გვ. 103, cited in Christina Parau (2012), გვ. 643.

⁸⁴ Bobek, the fortress of judicial independence and the mental transitions of the central European judiciaries, 14 EUR. PUB. L. 99 (2008), გვ. 100, cited in James E. Moliterno et al. (2018), გვ. 506; Also: Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1281.

მიდგომებიდან დინამიკურ, მიზანზე ორიენტირებულ მიდგომებთან ადაპტირებასაც, ამ სახელმწიფოებში არ მომხდარა.⁸⁵

სამართლისა და მოსამართლის როლის ამგვარი გაგება ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება როგორც ევროპულ სამართალს, ისე დამოუკიდებელი სასამართლოს ევროპულ გაგებასაც.⁸⁶ შესაბამისად, ტრანზიციის პროცესში მყოფ ქვეყნებში საკანონმდებლო ცვლილებები არსობრივად ფორმალურ ინსტიტუციურ ჩარჩოებს შეეხო, თუმცა ყურადღების მიღმა აღმოჩნდნენ სწორედ ის პირები, რომლებსაც ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი რეფორმის ინსტიტუციური ჩონჩხისთვის ხორცი უნდა შეესხათ.⁸⁷ მართალია, ევროპამ მნიშვნელოვანი რესურსი დაუთმო ინდივიდუალურ მოსამართლეთა გადამზადებას, ფინანსური გარანტიებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პოლიტიკას, თუმცა, საბოლოოდ, მას ხელშეშახები შედეგი არ მოუტანია. შედეგად, ქალაქებში ერთი შეხედვით იდეალურად გამართული რეფორმის პრაქტიკული განხორციელება, ასეთ საზოგადოებებსა და პროფესიულ წრეებში გაბატონებული იდეოლოგიური შეხედულებებისა და ქცევების გამო, გაცილებით რთული აღმოჩნდა.⁸⁸

გამოცდილებამ აჩვენა, რომ არსებითი ცვლილებებისათვის საკმარისი არ არის ფორმალური ინსტიტუციური რეფორმა, რომელიც სასამართლოს დამოუკიდებლობას სამართლებრივი ჩარჩოს შექმნითა და პროცედურული ნორმების დახვეწის გზით აფუძნებს. გაცილებით მეტად თუ არა, თანაბრად მნიშვნელოვანია ინდივიდუალურ მოსამართლეთა მიდგომები, თვითშეგნება, ეთიკის ნორმები და მათი მონდომება - იყვნენ ერთდროულად გამბედავები და ამასთანავე, ანგარიშვალდებულები საზოგადოების წინაშე. დემოკრატიზაციის პროცესში მოსამართლეთა თვითმმართველობის მაღალი გარანტიების შექმნა სხვას არაფერს უწყობს ხელს, თუ არა სასამართლო ხელისუფლების შენარჩუნებას იმ ფორმით, რა ფორმითაც ისინი არსებობდა არადემოკრატიულ რეჟიმებში, თუკი დამოუკიდებლობის მყარი გარანტიების პარალელურად, შიდა გავლენებისა და ანგარიშვალდებულების დაბალი ხარისხის პრობლემა არ გადაწყდება.⁸⁹

ამასთანავე, სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის „ევროპული მოდელის“ დანერგვისას, არც ევროკავშირმა და არც თავად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა, გაითვალისწინეს საკუთარი ინდივიდუალური ინსტიტუციური მახასიათებლები, პოლიტიკური ისტორია და სოციალური თუ კულტურული ფაქტორები. არადემოკრატიული რეჟიმების დამხობის შემდეგ, ამ ქვეყნებში ადგილი არ ჰქონია პოლიტიკური და სასამართლო ელიტის ჩამოშორებას დემოკრატიზაციის პროცესიდან. დამოუკიდებლობის უჩვეულოდ მოკლე დროში გაზრდილმა სტანდარტებმა კი, ელიტები,

⁸⁵ James E. Moliterno et al. (2018), გვ. 506.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ Denis Preshova et al. (2007), გვ. 12; Also: Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1282.

⁸⁸ James E. Moliterno et al. (2018), გვ. 506.

⁸⁹ Bostjan Zalar, from 'Communist Legacy' to Capacity Building to Better Manage the Rule of Law, in CENTRAL EUROPEAN JUDGES UNDER THE INFLUENCE: TRANSFORMATIVE POWER OF THE EU REVISITED 149, 156 (Michal Bobek ed., 2015) cited in James E. Moliterno et al. (2018), გვ. 535 (footnote 225).

საკუთარი გავლენების წყალობით, ისევ სისტემის სათავეში მოაქცია.⁹⁰ გარდა ამისა, სისტემის სხვა მოსამართლეები, ჯერ კიდევ ნაკლებად თავდაჯერებულები საკუთარი პოზიციის მნიშვნელობაში, სასამართლო სისტემაში არსებული გავლენიანი ფიგურების და პოლიტიკური (პარტიული) ინტერესების მიმართ მოწყვლადნი არიან.⁹¹

ბოლოს, გატარებული რეფორმების აკვარგიანობაზე სიდრმისეული მსჯელობის ნაცვლად, საზოგადოება სასამართლოს ჯერ კიდევ წარსულის პრიზმიდან უყურებს და მასში კორუმპირებულ, მიკერძოებულ და სახელმწიფოს ინტერესების არასათანადოდ დამცველ პირთა ერთობას ხედავს.⁹² შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ დამოუკიდებელი და ეფექტიანი სასამართლო ხელისუფლების შექმნა რთული აღმოჩნდა სახელმწიფოებში, სადაც ამგვარი კონცეფცია სულ რაღაც წლების წინ საერთოდ არ არსებობდა და ის საზოგადოების ისტორიული მეხსიერების ნაწილი არ არის. მეტიც, სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების მსგავსი დამოკიდებულების შენარჩუნება სამომავლოდაც საფრთხეს უქმნის რეალური რეფორმების წარმატებულ განხორციელებას და მათი ლეგიტიმაციის ნაკლებობის რისკებს აჩენს.

5.1. „ევროპული მოდელის“ პრობლემური ბუნება სლოვაკეთისა და რუმინეთის მაგალითზე

კომუნისტური წარსულის მქონე ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის „ევროპული მოდელის“ ღრმად პრობლემურობის ნათელი მაგალითებია სლოვაკეთი და რუმინეთი. ორივე სახელმწიფოს პოლიტიკური წარსული და დემოკრატიული ტრანზიციის ხანგრძლივი პროცესი აერთიანებს, რომელშიც მნიშვნელოვანი ფუნქცია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ინსტიტუტებმა შეასრულეს. შიდა პოლიტიკური არასტაბილურობის ფონზე, სწორედ ევროკავშირში გაწევრიანების სურვილმა შეასრულა გარდამტეხი როლი ამ ქვეყნებში სასამართლო რეფორმის განხორციელების პროცესში, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა. ამასთანავე, რეფორმის შედეგები, საბოლოო ჯამში, არცთუ სახარბიელოდ გამოიყურება, რამდენადაც ორივე სახელმწიფოში ის ძირითადად სასამართლოს ინსტიტუციური გაძლიერების, პოლიტიკური ხელისუფლებისაგან ამ უკანასკნელის მაქსიმალურად იზოლირების იდეას დაეფუძნა. თუმცა ამ პროცესში ნაკლები ყურადღება დაეთმო გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სათანადო სტანდარტების შემუშავებასა და სერიოზულ მენტალურ თუ კულტურულ ტრანსფორმაციას. შედეგად, გატარებულმა რეფორმებმა არათუ ვერ აღმოფხვრა სასამართლო სისტემის შიგნით არსებული პრობლემები, არამედ, რიგ შემთხვევებში, კიდევ უფრო შეუწყო ხელი მათ გაღრმავებას და რეფორმის წარმატებით დასრულების პერსპექტივა დროში უვადოდ გადაანაცვლა.

⁹⁰ James E. Moliterno et al. (2018), გვ. 537.

⁹¹ იქვე.

⁹² იქვე, გვ. 548.

5.1.1. სლოვაკეთი

1989 წელს კომუნისტური რეჟიმის დაცემისა და 1992-1993 წლებში ჩეხოსლოვაკიის ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაყოფის შემდეგ, მომდევნო 5 წლის განმავლობაში, სლოვაკეთში ჩამოყალიბებული დემოკრატიული მმართველობა მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მათგან ერთ-ერთი სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით კი, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება იყო.⁹³ თუმცა 2002 წელს საპარლამენტო არჩევნებში პროევროპული, რეფორმისტი კოალიციის გამარჯვებამ, რეფორმების რამდენიმე ეტაპის საშუალებით, სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი და ქვეყანა ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე დააყენა, რაც 2004 წელს სლოვაკეთისა და „ვიშეგრადის ჯგუფის“⁹⁴ სხვა სახელმწიფოებისათვის წარმატებით დასრულდა.⁹⁵ ამ პროცესში სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის მოდელად სწორედ „ევროპული მოდელი“ შეირჩა, რომელმაც მომავალში სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის ბალანსის ძიების მრავალწლიან ისტორიას ჩაუყარა საფუძველი. სლოვაკეთში ეს პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, რამაც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფო მნიშვნელოვნად დააზიანა.⁹⁶

ადრეულ 2000-იან წლებამდე, სასამართლო რეფორმის განხორციელებამდე, მოსამართლეთა დანიშვნაზე უფლებამოსილი ორგანო პარლამენტი იყო, დანარჩენ საკითხებზე კი ყველა გადაწყვეტილებას (კანდიდატთა შერჩევა, დაწინაურება, დისციპლინირება) იუსტიციის მინისტრი იღებდა.⁹⁷ ამასთანავე, დასაკავებელ თანამდებობასთან კანდიდატთა შესაბამისობის შესამოწმებლად, მოსამართლეებისათვის 4-წლიანი გამოსაცდელი ვადა დაწესდა.⁹⁸ ამ პერიოდში სასამართლო ხელისუფლებაში მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა იყო, როგორც მოსამართლეთა კომპეტენციის, ისე სასამართლოს ადმინისტრირების კუთხით. სასამართლო სისტემაში საქმიანობას განაგრძობდნენ მოსამართლეები, რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ წინა არადემოკრატიულ რეჟიმთან და მის პოლიტიკურ ელიტებთან. რამდენადაც დემოკრატიზაციის პროცესის დაწყების შემდეგ მათი ლუსტრაცია არანაირი ფორმით არ მომხდარა, სისტემაში ახლად შესული მოსამართლეებიც, გამოცდილებას იღებდნენ და ადაპტირდებოდნენ იმ გარემოში, რომელიც ცალსახად შეუსაბამო იყო როგორც სასამართლოს, ისე ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის სტანდარტებთან.⁹⁹

⁹³ James E. Moliterno et al. (2018), გვ. 524, footnote 171.

⁹⁴ „ვიშეგრადული ჯგუფი“ ცენტრალური ევროპის 4 სახელმწიფოს (ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი) კულტურული და პოლიტიკური ალიანსია, რომლის თავდაპირველი მიზანაც სამხედრო, კულტურული, ეკონომიკური და ენერგეტიკული სფეროების განვითარება და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაძლიერება იყო. ჯგუფი 1991 წელს შეიქმნა.

⁹⁵ David Kosar & Samuel Spac (2021), გვ. 116.

⁹⁶ James E. Moliterno et al. (2018), გვ. 525.

⁹⁷ იქვე, გვ. 525.

⁹⁸ Károly Bárd, Judicial Independence in the Accession Countries of Central and Eastern Europe and the Baltics, in JUDICIAL INTEGRITY 296 (2004), cited in James E. Moliterno et al. (2018) გვ. 525 (footnote 172).

⁹⁹ Michal Bobek, The Fortress of Judicial Independence and the Mental Transitions of the Central European Judiciaries, 14 EUR. PUB. L. 99 (2008), cited in James E. Moliterno et al. (2018) გვ. 525 (footnote 174).

სლოვაკეთის მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა 2001 წლის დასაწყისში ევროკომისიისგან დადებითი შეფასება დაიმსახურა.¹⁰⁰ განსაკუთრებით დამაიმედებლად გამოიყურებოდა ახლად შექმნილი იუსტიციის უმაღლესი საბჭო და პოლიტიკური ხელისუფლებისგან მისი დამოუკიდებლობის გარანტიები, რამდენადაც იუსტიციის მინისტრის ხელში თავმოყრილი ძალაუფლება სასამართლოსთან დაკავშირებით თითქმის მთლიანად საბჭოს ხელში გადავიდა.¹⁰¹ მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეფორმის პროცესში, განსაკუთრებით სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიებთან დაკავშირებით, იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, ჩართულები იყვნენ თავად სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები.¹⁰²

განხორციელებული რეფორმების შემდეგ, სლოვაკეთის სასამართლო ხელისუფლების მდგომარეობა თანდათან გაუარესდა, განსაკუთრებით 2006-2010 წლებში, როდესაც პროვეროპული კოალიცია მემარცხენე-ნაციონალისტურმა კოალიციამ ჩაანაცვლა და სასამართლოს ფორმალური დამოუკიდებლობის გარანტიები კიდევ უფრო გაიზარდა.¹⁰³ ეს ამ საპარლამენტო კოალიციის პოლიტიკური მხარდაჭერის უშუალო შედეგი იყო, რომლის წევრებიც იყვნენ, მათ შორის, 90-იანი წლების გარდამავალი, ნახევრად ავტორიტარული რეჟიმის წამყვანი პოლიტიკური აქტორები.¹⁰⁴ ისინი ამავე დროს, უზენაესი სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარესთან, სტეფან ჰარაბინისთან დაახლოებული პირებიც იყვნენ,¹⁰⁵ რადგან ჰარაბინი სწორედ გარდამავალი რეჟიმის ხელისუფლებამ აირჩია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ჯერ კიდევ 1998 წელს, ხოლო შემდეგ ამ ხელისუფლების წევრების აქტიური მონაწილეობით შექმნილმა მემარცხენე-ნაციონალისტურმა კოალიციამ იუსტიციის მინისტრად - 2006 წელს.¹⁰⁶

იუსტიციის მინისტრის თანამდებობის დაკავების პერიოდში ჰარაბინის მიერ ინიცირებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა პოლიტიკური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის ძალიან მაღალი გარანტიები შექმნა და იუსტიციის მინისტრის ხელთ დარჩენილი ისედაც შეზღუდული უფლებამოსილებები მთლიანად იუსტიციის საბჭოს ხელში გადავიდა. გარდა ამისა, ჰარაბინმა თავად წარადგინა საბჭოს წევრების სავარაუდო სია და საკუთარი მოკავშირეებისა და სასამართლოების ხელმძღვანელ პირთა აქტიური მხარდაჭერით უზრუნველყო მათი დანიშვნა საბჭოს წევრის თანამდებობებზე. ამგვარად დაკომპლექტებულმა საბჭომ კი, იგი საბოლოოდ კვლავ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩია, რაც საბჭოს თავმჯდომარეობასაც გულისხმობდა. ამ მოვლენების შემდეგ, მედიაში გახშირდა ინფორმაცია სასამართლოში ფართოდ გავრცელებული კორუფციის, ნეპოტიზმის, არაკომპეტენტურობის შემთხვევებისა და საბჭოს მხრიდან სასამართლო სისტემაში არსებული, ჰარაბინის მიმართ კრიტიკულად განწყობილი

¹⁰⁰ Regular Report on Slovakia's Progress Towards Accession, COMMISSION OF THE EUR. COMMUNITIES, at 24 (Oct. 9, 2002), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3D6NOP8>, წვდომის თარიღი: 08.10.2021, James E. Moliterno et al. (2018) გვ. 526.

¹⁰¹ David Kosar & Samuel Spac (2021), გვ. 117.

¹⁰² James E. Moliterno et al. (2018), გვ. 526.

¹⁰³ იქვე.

¹⁰⁴ David Kosar & Samuel Spac (2021), გვ. 117.

¹⁰⁵ James E. Moliterno et al. (2018), გვ. 526.

¹⁰⁶ David Kosar & Samuel Spac (2021), გვ. 117.

მოსამართლეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების თაობაზე. ამასთანავე, უზენაესი სასამართლოს პალატები ახლებურად დაკომპლექტდა, გაიზარდა საქმეების საექვო განაწილების, „დაუმორჩილებელ“ მოსამართლეთა დატვირთვის არაგონივრულად გაზრდისა და ჰარაბინის თანამოაზრეებისათვის ფინანსური წახალისებების შემთხვევები.¹⁰⁷

შედეგად, არჩეული პოლიტიკური ხელისუფლებისგან სრულად იზოლირებული იუსტიციის საბჭო, რომელიც „ევროპული მოდელის“ საფუძველზე შეიქმნა და რომლის რეფორმის პროცესში სლოვაკეთი ევროპული ინსტიტუტების „სამაგალითო მოსწავლე“ იყო, საბოლოო ჯამში, იქცა მაფიის მსგავს, სისტემის შიგნით რეპრესიებზე ორიენტირებულ ინსტიტუტად, რომელიც ზედმიწევნით ოსტატურად ამოეფარა სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციურ პრინციპს.¹⁰⁸ 2010 წლის შემდეგ, პოლიტიკურმა ხელისუფლებამ სცადა სასამართლოში არსებული დომინანტური ჯგუფების ფაქტობრივად უკონტროლო ძალაუფლების შემცირება. კერძოდ, იუსტიციის მინისტრს გადასცა საბჭოს შესაბამისი კომიტეტებისთვის მოსამართლეობის კანდიდატურების წარდგენის უფლებამოსილება, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარეებს შეეზღუდათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობა, რადგან სწორედ მათი უმრავლესობა ქმნიდა დომინანტურ ჯგუფს სასამართლო სისტემის შიგნით, ხოლო შემდეგ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.¹⁰⁹ შეიცვალა საბჭოს მოსამართლე წევრთა არჩევის წესიც და ეს უფლებამოსილება მოსამართლეებითა და პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი წევრებით დაკომპლექტებული სპეციალური კომიტეტის ხელში გადავიდა.¹¹⁰ თუმცა მოსახლეობის შეფასებით, სასამართლო დღემდე ყველაზე ნაკლებად სანდო ინსტიტუტია სლოვაკეთში.¹¹¹

სასამართლო ხელისუფლების ზემოაღნიშნული ინსტიტუციური მოდელის, ძირითადად საერთაშორისო წნეხის პირობებში, ადგილობრივი კონტექსტის გაუანალიზებლად დანერგვის ფაქტს ადასტურებს სლოვაკეთის კონსტიტუციაში 2001 წელს შესული ცვლილებების კანონის განმარტებითი ბარათიც.¹¹² ეს დოკუმენტი პირდაპირ მიუთითებს ევროპის საბჭოსა და მოსამართლეთა საკონსულტაციო ორგანოების რეკომენდაციებზე, რომელიც, თავის მხრივ, ევროკავშირის მხრიდან კანდიდატი ქვეყნების პროგრესის შეფასების პროცესში სახელმძღვანელო სტანდარტებად მიიჩნევა. ამ წნეხის არსებობის თაობაზე რეფორმის პროცესში ღია მითითებები კეთდებოდა ადგილობრივ დონეზე. კონსტიტუციური ცვლილების ერთ-ერთი ავტორისა და შემდგომში სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლის შეფასებით, „რეფორმიდან გასულმა დრომ და სასამართლო ხელისუფლებაზე დომინირებისათვის ბრძოლის სახიფათო ისტორიამ აჩვენა, რომ კონსტიტუციური ცვლილების ავტორებს ზედმეტად იდეალისტური

¹⁰⁷ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1287-88, David Kosar & Samuel Spac (2021), გვ. 124-125.

¹⁰⁸ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1285-86.

¹⁰⁹ David Kosar & Samuel Spac (2021), გვ. 118.

¹¹⁰ იქვე, გვ. 119.

¹¹¹ James E. Moliterno et al. (2018) გვ. 526; Also, Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1285-1286.

¹¹² Constitutional Act No. 90/2001 Coll., NÁRODNÁ RADA SLOVENSKEJ REPUBLIKY [NATIONAL ASSEMBLY OF THE SLOVAK REPUBLIC] (2001), cited in James E. Moliterno et al. (2018), გვ. 527 (footnote 180).

ხედვა ჰქონდათ იუსტიციის საბჭოს არსებული მოდელის დანერგვის საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით“.¹¹³

მნიშვნელოვანია ისიც, რომ იუსტიციის საბჭოს როლისა და გავლენის გაძლიერებას ხელი შეუწყო სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბჭოსთან დაკავშირებით არსებული კონსტიტუციური ჩანაწერის ძალზე ფართოდ განმარტებამ, რომელმაც საბჭო განსაკუთრებული არსის (*sui generis*) მქონე კონსტიტუციურ ორგანოდ გამოაცხადა,¹¹⁴ რომლის „ფუნდამენტურ ინსტიტუციურ კომპონენტს დამოუკიდებლობა წარმოადგენს“.¹¹⁵ თუმცა სასამართლომ მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებაში აღიარა, რომ „ევროპული მოდელი“ არის ერთ-ერთი მრავალთაგან და არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ინსტიტუციური მოწყობის ერთი მოდელი ყველა ქვეყნისთვის მისაღებია, რამდენადაც მისი მექანიკური დანერგვა ვერ ქმნის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, ეფექტიანობის და პროფესიონალიზმის სათანადო გარანტიებს.¹¹⁶ სასამართლომ, ფრთხილად, დამოუკიდებლობის ასეთი მაღალი ინსტიტუციური გარანტიების პირობებში საბჭოს შიგნით კორპორატივიზმის არსებობის საფრთხეებზეც მიუთითა.¹¹⁷

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1989 წლის რევოლუციის შემდეგ, მოსამართლეებმა შეიძლება სამართლიანად მოითხოვეს დამოუკიდებლობა, თუმცა დრომ აჩვენა, რომ სასამართლო ელიტის ამგვარ წნეხს პოლიტიკურ ხელისუფლებაზე, მოტივაციად მხოლოდ დამოუკიდებლობის პირადი გარანტიები ჰქონდა. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა საბოლოო მიზნად იყო მოაზრებული და არა მიზნის მიღწევის საშუალებად, შესაბამისად, დამოუკიდებლობის რეალური მიზანი მოსამართლეთა პირადი ინტერესებისათვის ბრძოლაში ჩაიკარგა.¹¹⁸

5.1.2. რუმინეთი

სლოვაკეთის გარდა, სასამართლოს ინსტიტუციური მოწყობის „ევროპული მოდელის“ დანერგვის კიდევ ერთი პრობლემური მაგალითია რუმინეთი. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ორივე ქვეყნის დემოკრატიზაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ევროკავშირში გაწევრიანების პროცესმა. თუმცა რუმინეთში ეს გავლენები გაცილებით ცალსახა და ძლიერი იყო, ისევე როგორც თავად ქვეყანას აღმოაჩნდა მეტი მზაობა ევროპული ინტეგრაციის

¹¹³ Footnote 176, LADISLAV OROSZ ET AL., ÚSTAVNÝ SYSTÉM SLOVENSKEJ REPUBLIKY (DOTERAJŠÍ VÝVOJ, AKTUÁLNY STAV, PERSPEKTÍVY) [CONSTITUTIONAL SYSTEM OF THE SLOVAK REPUBLIC (EVOLUTION, PRESENT STATE, PERSPECTIVES)] 59 (2009), cited in James E. Moliterno et al. (2018), გვ. 527 (footnote 186)

¹¹⁴ Decision of the Constitutional Court of the Slovak Republic no. I. ÚS 62/06 (Mar. 1, 2006) (Slovk.), cited in James E. Moliterno et al. (2018) გვ. 529 (footnote 188).

¹¹⁵ Decision of the Constitutional Court of the Slovak Republic no. IV. ÚS 46/2011 (Feb. 17, 2011) (Slovk.), cited in James E. Moliterno et al. (2018) გვ. 529 (footnote 189).

¹¹⁶ Decision of the Constitutional Court of the Slovak Republic no. PL. ÚS 2/2012 (Nov. 18, 2015) (Slovk.), cited in James E. Moliterno et al. (2018) გვ. 529 (footnote 190).

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ James E. Moliterno et al. (2018), გვ. 530.

მიმართ.¹¹⁹ ამის მიუხედავად, რეფორმის პროცესი აქ ჯერ კიდევ მიმდინარეობს, საზოგადოებრივი ნდობით აღჭურვილი და დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობა კი კვლავაც მითად რჩება.¹²⁰

რუმინეთში სასამართლო რეფორმა *de jure* 1991 წელს, კომუნისტური რეჟიმის დასრულებისა და ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ დაიწყო.¹²¹ ახალმა დემოკრატიულმა კონსტიტუციამ გაცხადებულად დაგმო ყოფილი რეჟიმის პრინციპები, რაც სუსტი სასამართლო სისტემიდან მის ძლიერ და დამოუკიდებელ ინსტიტუციად გარდაქმნის მიზანსაც გულისხმობდა.¹²² თუმცა მომდევნო ათწლეულის განმავლობაში რეფორმის პროცესში სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით რადიკალური გარდატეხა მაინც არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი პოლიტიკური ელიტები მის მნიშვნელობაზე დროგამოშვებით საუბრობდნენ. გასაკვირი არ არის, რომ დემოკრატიზაციის პროცესში მყოფ ქვეყანაში ჯერ კიდევ ცხადად იყო შემორჩენილი საბჭოთა მემკვიდრეობა და მენტალობა როგორც კანონმდებლობაში, ისე სასამართლო კულტურაშიც. შესაბამისად, პოლიტიკურ და სასამართლო ინსტიტუტებს შორის ურთიერთობის ახლებურად მოსაწესრიგებლად და ახლებური ინსტიტუციური მოწყობის ჩამოსაყალიბებლად, ხანგრძლივი და რთული რეფორმა იყო საჭირო.¹²³

რუმინეთის სასამართლო რეფორმის საკითხი განსაკუთრებით პრიორიტეტული მომდევნო ათწლეულის დასაწყისში გახდა, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის საწყის ეტაპზე. ევროპული ინსტიტუტები ევროკავშირში გაწევრიანების მსურველ სახელმწიფოებს, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გასაზრდელად სწრაფი და ეფექტიანი რეფორმების გატარებისაკენ ერთხმად მოუწოდებდნენ. ევროკომისიის მითითებით, დემოკრატიზაციის პროცესიდან 10 წლის გასვლის შემდეგ, რუმინეთის სასამართლო სისტემის მუშაობა ჯერ კიდევ „არადადამკმაყოფილებელი“ იყო.¹²⁴ შესაბამისად, ევროპული ინსტიტუტების მხრიდან გაცემული რეკომენდაციები აქცენტს სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდაზე აკეთებდა, უფრო კონკრეტულად, რეფორმის ძირითადი პრიორიტეტები უნდა ყოფილიყო სასამართლოს დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, კერძოდ, მოსამართლეთა დანიშვნის პროცესზე იუსტიციის მინისტრის

¹¹⁹ Cristina Parau, *Impaling Dracula: How EU Accession Empowered Civil Society in Romania*, 32 *West European Politics* (2009), გვ. 119; Cristina Parau, *East Side Story: How Transnational Networks Contested Accession Conditionality*, *Europe-Asia Studies*, გვ. 1527, Cited in Christina Parau (2012), გვ. 642-643 (footnote 66).

¹²⁰ Ramona Coman and Cristina Dallara, *Judicial Independence in Romania*, in *Judicial Independence in Transition*, Anja Seibert – Fohr, Max-Planck-Institut für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht, Heidelberg, 2012, გვ. 835.

¹²¹ იქვე, 1991 წლის კონსტიტუციასთან ერთად, რუმინეთმა მიიღო კანონი სასამართლოს მოწყობის შესახებ: *Law on the Organization of the Judiciary* – no. 92/1991.

¹²² M. J. Trebilcock/R. Daniels, *Rule of Law Reform and Development: Charting the Fragile Path of Progress*, (2008), გვ. 162 cited in: Ramona Coman and Cristina Dallara (2012), გვ. 835.

¹²³ იქვე.

¹²⁴ Commission of the European Communities, *Agenda 2000 – Commission Opinion on Romania's Application for Membership of the European Union*, DOC/97/18, at 15 (15 July 1997), cited in: Ramona Coman and Cristina Dallara (2012), გვ. 836 (footnote 6).

უფლებამოსილებებისა და გავლენების შემცირება და მოსამართლეებისა და პროკურორების სტატუტის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა.¹²⁵

რუმინეთში სასამართლო რეფორმის სტრატეგია 2003 წელს შემუშავდა და მისი ძირითადი სულისკვეთება ევროკავშირისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კრიტიკას პასუხობდა.¹²⁶ მთავარი წუხილები უკავშირდებოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, უფრო კონკრეტულად, იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილებებს მოსამართლეთა კარიერასთან დაკავშირებით, ასევე, სასამართლოს რთულ სამუშაო პირობებს, პოლიტიკურ ზეწოლას და კომუნისტური წარსულის გავლენებს მოსამართლეთა სამართლებრივ კულტურაზე.

2003 წლის კონსტიტუციური ცვლილებით, მაგისტრატა უმაღლესი საბჭოს რეფორმა განხორციელდა,¹²⁷ რომელსაც მოსამართლეთა კარიერასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება მიენიჭა. თუმცა დასაწყისში პროცესზე *de facto* კონტროლს ისევ იუსტიციის მინისტრი ინარჩუნებდა, საპარლამენტო ძალები კი აქტიურად ლობირებდნენ იდეას, რომ მინისტრსა და საბჭოს ეს უფლებამოსილება უნდა გაეზიარებინათ.¹²⁸ გადამწყვეტი მომენტი 2004 წელს დადგა, როდესაც კონსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე, რუმინეთმა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მიიღო, რომლითაც იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილებათა აბსოლუტური უმრავლესობა მთლიანად მაგისტრატა უმაღლეს საბჭოს გადაეცა. უნდა ითქვას, რომ ამ პროცესს თავდაპირველი და მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა შეხვდა საკონსტიტუციო სასამართლოსგან. ამ უკანასკნელმა საკანონმდებლო პაკეტის არსებითი ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო.¹²⁹ თუმცა ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემებით მიმდინარე სასამართლო რეფორმის პროცესი ევროკავშირმა მაინც დამაკმაყოფილებლად აღიარა და 2007 წლის იანვარში რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანებას მხარი დაუჭირა. ევროკომისიის შეფასებით, „რუმინეთის კანონმდებლობა უკვე საკმარის გარანტიებს შეიცავდა სასამართლოს პერსონალური და ინსტიტუციური დამოუკიდებლობისათვის“.¹³⁰ თუმცა, 2007 წლის შემდეგ, რუმინეთის სასამართლო რეფორმა მეტწილად შეჩერდა, რამდენადაც ის ბუნებრივი

¹²⁵ Commission of the European Communities, Rapport régulier 1999 de la Commission sur les progrès réalisés par la Roumanie sur la voie de l'adhésion at 13 (1991), cited in: Ramona Coman and Cristina Dallara (2012), გვ. 836-837, (footnote 7).

¹²⁶ E.g. see the Judgment of the European Court of Human Rights of 28 September 1999 in the case of Dalban v. Romania which found a violation of Article 6 of the European Convention; see ECtHR, Dalban v. Romania, Judgment of 28 September 1999, RJD 1999-VI. Cited in: Ramona Coman and Cristina Dallara (2012), გვ. 836-837, (footnote 12).

¹²⁷ ტერმინი „მაგისტრატი“, რუმინეთსა და ევროპის სხვა რიგ ქვეყნებში, აერთიანებს მოსამართლეებსა და პროკურორებს. ეს კომუნისტური რეჟიმის ერთ-ერთი მემკვიდრეობაა, სადაც პროკურორს მნიშვნელოვანი ძალაუფლება ჰქონდა და ხშირად, პოლიტიკური გავლენების კუთხით, ერთგვარი შუალედური რგოლი იყო პარტიასა და სასამართლოს შორის. ასეთი მემკვიდრეობა არსებობდა რუმინეთშიც, კომუნისტური რეჟიმის დასრულების შემდეგ. პროკურორების და მოსამართლეების როლების აღრევა პრობლემას ქმნიდა როგორც სამართლებრივი ჩარჩოს, ასევე, სასამართლოს კულტურისა და მენტალობის თვალსაზრისითაც, ვრცლად; Ramona Coman and Cristina Dallara (2012), გვ. 837.

¹²⁸ იქვე, გვ. 838.

¹²⁹ იქვე, გვ. 840.

¹³⁰ Commission of the European Communities, Romania 2005 Comprehensive Monitoring Report, SEC (2005) 1354, at 10 (2005), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38dTUWx>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

გავლენის ფაქტორი, რაც ევროკავშირთან მიერთების პროცესში არსებობდა, გაწევრიანების შემდეგ გაქრა. მასთან ერთად გაქრა რეფორმის სურვილი და მოთხოვნაც.¹³¹ უკვე 2008 წლიდან, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან იმატა კრიტიკამ სასამართლოზე პოლიტიკური გავლენებისა და მაგისტრატა უმაღლესი საბჭოს არაეფექტიანობის თაობაზე.¹³²

2003 წლის კონსტიტუციური ცვლილებებისა და 2004 წლის საკანონმდებლო რეფორმების პაკეტის მიღების შედეგად, მაგისტრატა უმაღლესი საბჭო აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ, ავტონომიურ ორგანოდ იქცა, რომელსაც სასამართლოს დამოუკიდებლობის მთავარი გარანტის როლი აკისრია და მოსამართლეთა კარიერასა და დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ყველა გადაწყვეტილებას თავად იღებს, როგორც „მაგისტრატა კარიერის განმსაზღვრელი უნიკალური ფორუმი“.¹³³ მაგრამ ამ პროცესმა ვერც საბჭოს გაძლიერებისა და ავტონომიურობის ზრდის აქტიური მხარდამჭერების მოლოდინები გაამართლა და, შეიძლება ითქვას, სასამართლოს შემდგომი რეფორმირებაც მნიშვნელოვნად შეაფერხა.¹³⁴ როგორც ადგილობრივი სამართლებრივი ექსპერტები მიუთითებენ, დღეის მდგომარეობით, საბჭო ქვეყანაში ყველაზე „ავტოკრატიულ“ ძალას წარმოადგენს.¹³⁵ ის არაერთხელ გახდა ევროკომისიის კრიტიკის საგანი, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის გაძლიერება სწორედ ევროკავშირის აქტიური მხარდაჭერითა და ჩართულობით მოხდა. ევროკომისიის 2008 წლის მოხსენების თანახმად, „მაგისტრატა უმაღლეს საბჭოს მნიშვნელოვანი და საკმარისი რესურსები გადაეცა ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის, თუმცა ანგარიშვალდებულებისა და ეთიკური სტანდარტების ნაკლებობა სერიოზული წუხილის საგანია“.¹³⁶

საინტერესოა, რომ 2004 წლის საკანონმდებლო რეფორმების შედეგად, მაგისტრატა უმაღლესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა 6 წელს შეადგენს. ამასთანავე, საბჭოს არამოსამართლე წევრთა შერჩევის პროცესში სრულიად გამოირიცხა რუმინეთის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის მონაწილეობა. მხოლოდ ზედა პალატა - სენატი ირჩევს საბჭოს 19 წევრისაგან 2 წევრს და ისინი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები არიან. ამგვარად, საბჭოს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა პროფესიონალი მოსამართლე და პროკურორია. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ პერიოდში საკონსტიტუციო კომისიაში აქტიურად მსჯელობდნენ იმის შესახებ, რომ საბჭოს წევრთა შერჩევის პროცესის საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან აბსოლუტური იზოლირება, ხალხის მხრიდან

¹³¹ American Bar Association, Promoting the rule of law – United States Agency for International Development (USAID) – Romania, Final report (2008), cited in Ramona Coman and Cristina Dallara (2012), გვ. 840 (footnote 25).

¹³² Trust for civil society in Central and Eastern Europe, Initiative for a clean justice. Report on the state of the judiciary and the fight against corruption, at 10 (2008), cited in Ramona Coman and Cristina Dallara (2012), გვ. 840 (footnote 29).

¹³³ Romanian Government, Reasons for the Bill on the Judicial Council of Magistrates, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mjd4Cw>, წვდომის თარიღი: 08.10.2021, cited in: Christina Parau (2012), გვ. 644.

¹³⁴ Christina Parau (2012), გვ. 644.

¹³⁵ იქვე.

¹³⁶ Commission of the European Communities, Report from the Commission to the European Parliament and the Council on Progress in Romania under the Co-operation and Verification Mechanism {SEC(2009) 1073} COM/2009/0401 final, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AX8lum>, cited in: Christina Parau (2012), გვ. 644.

სასამართლოს ანგარიშვალდებულებისათვის რისკებს შეიცავდა.¹³⁷ თუმცა ევროკავშირის მოწოდებები და დადგენილი წინაპირობები სწორედ ასეთ რეფორმას უჭერდა მხარს, რომელიც საბჭოს პოლიტიკური ხელისუფლებისგან სრულად იზოლირებულს გახდიდა და საბოლოო ჯამში რეფორმაც ამ მიმართულებით წარიმართა.

2004 წლის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზარდა არა მხოლოდ მაგისტრატთა უმაღლესი საბჭოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის ხარისხი, არამედ მისი კომპეტენციებიც. თუკი 1992 წლამდე მოსამართლეებს სენატის რეკომენდაციითა და თანხმობით პრეზიდენტი ნიშნავდა, 1992-2004 წლებში პრეზიდენტს მოსამართლეებისა და პროკურორების კანდიდატურებს, იუსტიციის მინისტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით, უკვე საბჭო წარუდგენდა. საბჭო ასევე თავად ახორციელებდა დისციპლინური დევნის უფლებამოსილებას. 2004 წლის სასამართლო რეფორმის შემდეგ კი, მოსამართლეთა კარიერასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება სრულად საბჭოს ხელში გადავიდა. მართალია, პრეზიდენტი კვლავ ნიშნავს ახლადარჩეულ მოსამართლეებს/პროკურორებს, თუმცა ეს მხოლოდ ფორმალური პროცესია. ამასთანავე, რეფორმის შედეგად დაინერგა მოსამართლეთა უვადოდ განწესების წესი, როგორც დამოუკიდებლობის კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი გარანტია. საბჭოს კი სრულად მიენიჭა პარლამენტისგან დამოუკიდებლად, საკუთარი პროცედურული წესების რეგულირების უფლებამოსილება.¹³⁸

შედეგად, მაგისტრატთა უმაღლესი საბჭო დროის მოკლე მონაკვეთში სრულად დაქვემდებარებულიდან დამოუკიდებელ და ავტონომიურ ინსტიტუციად იქცა, თუმცა ტრანსფორმაციის ეს პროცესი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის სტანდარტების პარალელური დანერგვისა და ზრდის გარეშე წარიმართა. დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის ამგვარი ხარისხის პირობებში შეკავების და გაწონასწორების ერთადერთ შესაძლებლობად მედიას და თავად ინდივიდუალური მოსამართლეების მხრიდან კრიტიკის შესაძლებლობას ასახელებენ.¹³⁹ თუმცა როგორც ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან საბჭოს საქმიანობაზე დაკვირვებამ აჩვენა, ეს უკანასკნელი ნაკლებად წარმოსადგენია, რადგან საბჭო ინდივიდუალურ მოსამართლეებს, როგორც „დაქვემდებარებულებს“, ისე ეპყრობა. ის არათუ აღარ ასრულებს საკუთარ კონსტიტუციურ ვალდებულებას, როგორც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ორგანო, არამედ „ფლობს“ და „აკონტროლებს“ მას. სასამართლო სისტემის შიგნით ამგვარ მიდგომებს კი ახასიათებენ როგორც რუმინეთის პოლიტიკური კულტურის პირდაპირ გავლენასა და ანარეკლს, რომელიც საკუთარი ბუნებით მკაცრად იერარქიულია.¹⁴⁰

მნიშვნელოვან კრიტიკას იწვევს მაგისტრატთა უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა და სათანადო სამართლებრივი სტანდარტების არარსებობაც ამ მიმართულებით. კერძოდ, საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ფარული

¹³⁷ იქვე გვ. 645.

¹³⁸ იქვე, გვ. 647.

¹³⁹ S. Levinson, identifying 'Independence', 86 Boston University Law Review 1297 (2006), cited in: Christina Parau (2012), გვ. 647 (footnote 87).

¹⁴⁰ იქვე.

კენჭისყრით, მათ შორის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებით, ასევე, მოსამართლეთა დაწინაურების საკითხზე, რაც ევროკომისიამ 2009 წელს გააკრიტიკა.¹⁴¹ ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ნაკლებობის მხრივ, კომისიამ ასევე მიუთითა დისციპლინური დევნის პროცედურების დაცვის პრობლემებზე, და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების მხრივ, არათანმიმდევრულ მიდგომებზე.¹⁴²

რუმინეთის სასამართლო სისტემაში, ინსტიტუციური მოწყობისა და მასში მაგისტრატთა უმაღლესი საბჭოს როლის კრიტიკის პარალელურად, ასევე საუბრობენ მოსამართლეთა კომპეტენტურობისა და თავდაჯერებულობის პრობლემაზე. ეს საბჭოთა მემკვიდრეობის კიდევ ერთ პრობლემად მიიჩნევა, რამდენადაც დემოკრატიზაციის პროცესმა და დროში გაჭიანურებულმა არასრულფასოვანმა რეფორმებმა ძველ სისტემასთან ხისტი მენტალური წყვეტა ვერ უზრუნველყო და შედეგის სახით სამოსამართლო კულტურის ნაკლებობაშიც აისახა. იდეა, რომ „მოსამართლე სახელმწიფოს მსახურია“ და ის კანონის შეფარდებისას მკაცრად ფორმალისტურ-სამართლებრივ მიდგომებს ირჩევს, ჯერ კიდევ სამოსამართლო კულტურისა და განათლების ნაწილია რუმინეთში.¹⁴³ ხოლო რაც შეეხება კომპეტენტურობის ნაკლებობას, საინტერესოა, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯები გადაიდგა 1997-2004 წლებში. რეფორმა გულისხმობდა ხელფასების მომატებას, სასამართლოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მოსამართლედ განწესებისათვის საჭირო ასაკის დაწევას და აქტიურ პროფესიულ გადამზადებას. სწორედ მოსამართლეთა სათანადო პროფესიული მომზადების მიზნით შეიქმნა მაგისტრატთა ეროვნული ინსტიტუტიც. თუმცა 2004 წლის სასამართლო რეფორმის შემდეგ, ეს ინსტიტუტი მაგისტრატთა უმაღლეს საბჭოს დაექვემდებარა, მისი გავლენის ქვეშ მოექცა და შესაბამისად, ინსტიტუტის მნიშვნელოვნად დადებითი როლიც საგრძნობლად შემცირდა.¹⁴⁴

კომპეტენციის ნაკლებობის პრობლემას ემატება სასამართლო სისტემაში ნეპოტიზმსა და კორუფციასთან დაკავშირებული გამოწვევები. როგორც მიუთითებენ, მაგისტრატთა უმაღლესი საბჭო მის ხელთ არსებული უფლებამოსილებებიდან, ხშირად იყენებს დაწინაურების ინსტიტუტს, როგორც ეფექტიან მექანიზმს შიდა გავლენების გასაზრდელად და ინდივიდუალურ მოსამართლეთა გასაკონტროლებლად. ამასთანავე, საინტერესოა, რომ როგორც ადგილობრივი აქტორები მიუთითებენ, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა კორუფციის აშკარა შემთხვევები, ამ ფენომენმა სახე იცვალა და ის თავს ავლენს შიდა გავლენების სახით. მაგალითისათვის, მიუხედავად იმისა, რომ 2005 წელს ევროკავშირის მნიშვნელოვანი ძალისხმევით სასამართლო სისტემაში დაინერგა საქმეთა

¹⁴¹ მაგალითისათვის, 2009 წელს შეფასდა 6258 მაგისტრატი (მოსამართლეები და პროკურორები), რომელთა 99.8%-ს მიენიჭა შეფასების უმაღლესი კატეგორია. ევროკომისიის მოსაზრებით, ეს მოცემულობა საბჭოს მხრიდან შეფასების პროცესში მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევის ეჭვებს ქმნის. Commission of the European Communities, Report from the Commission to the European Parliament and the Council on Progress in Romania under the Co-operation and Verification Mechanism {SEC(2009) 1073} COM/2009/0401 final, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3k9IYzH>, წვდომის თარიღი: 08.10.2021, cited in: Christina Parau (2012), გვ. 648.

¹⁴² იქვე.

¹⁴³ იქვე, გვ. 649.

¹⁴⁴ იქვე, გვ. 650.

ელექტრონული სისტემა, მისი არასრულფასოვანი დანერგვა განაწილების წესის მანიპულირების შესაძლებლობებს ქმნის. შესაბამისად, პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საქმეები იშვიათად ხდება იმ მოსამართლეთა ხელში, რომლებიც შიდა გავლენების მიმართ შედარებით დამოუკიდებელი არიან.¹⁴⁵ ნეპოტიზმთან და კორუფციასთან არასრულფასოვანი და არაეფექტიანი ბრძოლის გამო, მაგისტრატთა უმაღლესი საბჭო ასევე არაერთხელ იქცა ევროკავშირის კრიტიკის საგნად, რომელმაც საბჭოს მხრიდან დისციპლინური დევნის მექანიზმის არასათანადო და არაეფექტიან გამოყენებაზე მიუთითა.¹⁴⁶

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ სლოვაკეთის მსგავსად, რუმინეთის შემთხვევაშიც, დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში განხორციელებულმა სასამართლო რეფორმამ, რომელიც ნაკლებად ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე, თუმცა დამოუკიდებელი და ავტონომიური საბჭოს შექმნას გულისხმობდა, საკუთარ მიზანს ნაკლებად მიაღწია. ამგვარმა ინსტიტუციურმა ცვლილებებმა არათუ ვერ შეძლო სასამართლოს შიგნით არსებული ძირეული პრობლემების აღმოფხვრა, არამედ საბჭო, ფაქტობრივად, უკონტროლო ელიტად აქცია, რომელიც საკუთარ ძალაუფლებას სისტემაში ნეპოტიზმის, კორუფციის და პოლიტიკური გავლენებისათვის იყენებს, ხელს უშლის მოსამართლეთა კორპუსის კომპეტენტურობის გაუმჯობესებას და მენტალურ გარდატეხას არსებულ სამართლებრივ კულტურაში.

5.2. „ევროპული მოდელი“ და ქართული სასამართლო რეალობა

საქართველოში სასამართლო სისტემის ჩაკეტილობა, ელიტებისადმი ლოიალობა და პოლიტიკური დაკვეთების შესრულება, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თითქმის ყოველთვის გამოწვევა იყო.¹⁴⁷

საბჭოთა კავშირის დაშლის და 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პირველ წლებში, ქვეყანამ სამოქალაქო ომი და სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან სეპარატისტული კონფლიქტი გადაიტანა, რამაც დემოკრატიზაციის პროცესს განსაკუთრებით მძიმე კვალი დაატყო და მნიშვნელოვნად შეაფერხა. მდგომარეობა არც 90-იანი წლების მეორე ნახევარში, 1995 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, გამოიყურებოდა დამაიმედებლად. ფართოდ გავრცელებულ ორგანიზაციულ დანაშაულსა და კორუფციასთან

¹⁴⁵ იქვე, გვ. 650-654.

¹⁴⁶ Commission of the European Communities, Report from the Commission to the European Parliament and the Council on Progress in Romania under the Co-operation and Verification Mechanism COM (2008) 494 Final, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kadhb8j>, წვდომის თარიღი: 08.10.2021, cited in: Christina Parau (2012), გვ. 653 (footnote 113).

¹⁴⁷ თორნიკე გერლიანი, ძალაუფლების საკითხი მართლმსაჯულების სისტემაში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020, შესავალი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3G2irxa>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

ბრძოლა შეუსრულებელი მისია იყო სუსტი, მყიფე სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მათი რეფორმირებისათვის პოლიტიკური ნების არარსებობის პირობებში.¹⁴⁸

2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ და ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ახალმა პოლიტიკურმა გუნდმა სახელმწიფო ინსტიტუტების გარდაქმნისა და არსებითი რეფორმების განხორციელების პროცესის დაწყების პარალელურად,¹⁴⁹ კრიმინალისა და კორუფციის მიმართ „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა“ გამოაცხადა. ამასთანავე, მომდევნო წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, აღმასრულებელი ხელისუფლება, შეიძლება ითქვას, ხელისუფლების დომინანტური შტო გახდა, რომლის ირგვლივაც თავი მოიყარა მნიშვნელოვანმა ძალაუფლებამ. ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლებრივი დისბალანსი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა სასამართლო ხელისუფლების მიმართ. კონსტიტუციური ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტი, იმავე დროს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გახდა და, შესაბამისად, მოსამართლეთა დანიშვნისა და მოხსნის უფლებამოსილება მიენიჭა.¹⁵⁰ ამ ცვლილებამ იუსტიციის საბჭოს, ფაქტობრივად, საკონსულტაციო ორგანოს როლი შესძინა.

რამდენადაც მმართველი გუნდი ადამიანის უფლებების დაცვასთან, სახელმწიფო ხელისუფლების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებასთან შედარებით, უპირატესობას ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ანიჭებდა, გასაკვირი არ არის, რომ „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის გზით კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ძალისხმევა ბოლოს ადამიანის უფლებების მასშტაბურ დარღვევებში გადაიზარდა.¹⁵¹ სწორედ ამ პერიოდში გაიზარდა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მმართველი პოლიტიკური კლასის გავლენები სასამართლოზე, რომელზეც კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის პროცესში სისხლის სამართლის სისტემაში სახელმწიფო ბრალდების ინსტიტუტები დომინირებდა და სასამართლოს, როგორც ხელისუფლების მორჩილ შტოს, საკუთარ ნებას კარნახობდა.¹⁵² ამასთანავე, თავად სასამართლოს შიგნით თანდათანობით ჩამოყალიბდა მოსამართლეთა დომინანტური ჯგუფი, რომელიც მმართველი გუნდის პოლიტიკურ ინტერესებს ატარებდა.¹⁵³

2012 წელს, ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო ინსტიტუტების ძირეული რეფორმების საკითხი. მმართველი გუნდის გაცხადებული მიზანი წინა ხელისუფლების მიერ პოლიტიკურად მოტივირებული დანაშაულებისთვის, საკუთრების მასობრივი ჩამორთმევისა და ციხეებში არასათანადო

¹⁴⁸ ჰოვარდ ვერნი, გარდამავალი მართლმსაჯულების პერსპექტივები საქართველოში, გარდამავალი მართლმსაჯულების საერთაშორისო ცენტრი, თებერვალი, 2017, გვ. 3-6, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kdXjdp>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

¹⁴⁹ თომას ჰამერბერგი, საქართველო გარდამავალ პერიოდში, ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები, ოქტომბერი, 2013, გვ. 7, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3D09Nhf>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

¹⁵⁰ საქართველოს კონსტიტუცია (2004 წლის 6 თებერვლის რედაქცია), 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mi47t6>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

¹⁵¹ ჰოვარდ ვერნი (2017), გვ. 5.

¹⁵² იქვე, გვ. 7.

¹⁵³ თორნიკე გერლიანი (2020), შესავალი.

მოპყრობისთვის სამართლიანობის აღდგენა იყო.¹⁵⁴ შესაბამისად, არჩევნებიდან მალევე, დაისვა ამნისტიის, მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნისა და, რაც მთავარია, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური გავლენებისაგან გათავისუფლების საკითხი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული, „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი¹⁵⁵, რომელიც თავისი არსით „გარდამავალი პერიოდის სამართლიანობის“ მექანიზმებს ემსგავსებოდა, გულისხმობდა არასასამართლო, დამოუკიდებელი, დროებითი კომისიის ჩამოყალიბებას. კომისიის მიზანი კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენა უნდა ყოფილიყო, მას უნდა გადაეხედა იმ ადამიანების მსჯავრდების საკითხი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მათი მსჯავრდება მართლმსაჯულების ხარვეზების საფუძველზე მოხდა.¹⁵⁶ კანონპროექტი კომისიას ასევე ავალდებულებდა „მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დაშვებული ხარვეზების გამომწვევი სისტემური მიზეზების თაობაზე მოსაზრებების ჩამოყალიბებასა და მათი საქართველოს პარლამენტისა და მართლმსაჯულების სისტემაში შემავალი სახელმწიფო ორგანოებისათვის წარდგენას, ასევე მათი აღმოფხვრის და მომავალში მათი თავიდან აცილების შესახებ რეკომენდაციების შემუშავებას“.¹⁵⁷

საინტერესოა, რომ ამ კანონპროექტის თაობაზე ვენეციის კომისიამ საკუთარ მოსაზრებაში მიუთითა, რომ ამგვარი კომისიის შექმნის იდეა წინააღმდეგობაში მოდიოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან და სასამართლოს დამოუკიდებლობასთან.¹⁵⁸ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, შესაძლოა, საფრთხის ქვეშ დამდგარიყო ისეთი ღონისძიებების გატარებით, რომლებიც პოლიტიკურად მოტივირებულ ნაბიჯად მონათვლის რისკებს შეიცავდა. ამასთანავე, კომისიის მოსაზრებით, სასამართლო ხელისუფლების ფუნდამენტური რეფორმის გარეშე საქმეების ხელახლა შესწავლა საკმარისი არ იქნებოდა და ასეთი ღონისძიებები სასამართლო ხელისუფლების სრულფასოვანი რეფორმის პარალელურად უნდა განხორციელებულიყო, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის წინაპირობა გახდებოდა.¹⁵⁹ საბოლოო ჯამში, ვენეციის კომისიამ ამგვარი მექანიზმის შექმნის იდეა სრულად არ დაიწუნა, თუმცა ევროპაში არსებული მსგავსი კომისიების მაგალითებზე დაყრდნობით, ინიცირებული კანონპროექტის ევროპული სტანდარტების შესაბამისად დახვეწის დეტალური რეკომენდაციები გასცა.¹⁶⁰ კომისიამ, ამავე

¹⁵⁴ ანა აბაშიძე, ანა არგანაშვილი და სხვ., სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, თბილისი, 2017, გვ. 10, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2W5NRko>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

¹⁵⁵ 2013 წლის 20 მაისის საქართველოს კანონი „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის თაობაზე“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3AX9mCB>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

¹⁵⁶ ჰოვარდ ვერნი (2017), გვ. 13-14.

¹⁵⁷ „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁵⁸ ჰოვარდ ვერნი (2017), გვ. 14, ასევე, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) & Directorate for Justice and Human Dignity of the Directorate General of Human rights and Rule of Law, Joint opinion on the Draft Law on the Temporary State Commission on Miscarriages of Justice of Georgia, CDL-AD(2013)013, Strasbourg, 17 June 2013, paras. 81-82, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Wcd4sJ>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

¹⁵⁹ იქვე, para. 11.

¹⁶⁰ ჰოვარდ ვერნი (2017), გვ. 15.

დროს, „სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის განსამტკიცებლად ფართომასშტაბიანი რეფორმის“ მყისიერ საჭიროებებზეც მიუთითა.¹⁶¹ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან კომისიის შექმნის თაობაზე გამოთქმულ კრიტიკასთან ერთად, ვერც არსებული მექანიზმის დროით ჩარჩოზე მოხერხდა შეთანხმება პოლიტიკურ სუბიექტებს შორის. შესაბამისად, იმ იდეის განხორციელებაზე, რომელსაც, შესაძლოა, სასამართლოში მასშტაბური საკადრო და ორგანიზაციული გარდაქმნები მოჰყოლოდა, მმართველმა გუნდმა საბოლოოდ უარი თქვა.¹⁶²

როგორც აღინიშნა, 2012 წლისთვის ქართულ სასამართლო სისტემაში უკვე არსებობდა გავლენიან პირთა ჯგუფი, რომელიც როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო საზოგადოების აღიარებით, სასამართლოში უსამართლობისა და მანკიერების ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო.¹⁶³ ჯგუფის წევრებად მოიაზრებენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებისა და საერთო სასამართლოების სისტემის რამდენიმე გავლენიან ფიგურას და მათთან დაკავშირებულ ადამიანებს.¹⁶⁴ სწორედ ეს პირები იკავებდნენ მნიშვნელოვან პოზიციებს წინა ხელისუფლების პირობებში და მართლმსაჯულების სისტემაში ხელისუფლების ინტერესების გამტარები იყვნენ, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობას და სისტემას ჩაკეტილ, კორუპორატიულ ინსტიტუტად აქცევდა. შესაბამისად, არსებულ რეალობას თავისთავად უნდა დაეყენებინა დაგეგმილი რეფორმის დღის წესრიგში აღნიშნულ ჯგუფთან ახალი მმართველი გუნდის დაპირისპირება და ამ ჯგუფის გავლენების შემცირება სასამართლოზე.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების შეცვლიდან მოკლე ვადაში, ხელი მოეწერა ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებას.¹⁶⁵ შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების რეფორმის გაცხადებულ მიზანს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებები დაერთო, რაც კანონის უზენაესობის შემდგომ ხელშეწყობას, მათ შორის, სასამართლოს დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებრივი გარანტიების გაუმჯობესებას გულისხმობდა.¹⁶⁶ ამ შეთანხმებით მხარეებს დაეკისრათ სრული თანამშრომლობის ვალდებულება, მათ შორის, მართლმსაჯულების სფეროში მოქმედი ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.¹⁶⁷ შესაბამისად, მართლმსაჯულების რეფორმის პროცესში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ის მიდგომები და სტანდარტები, რომლებიც წევრობის მსურველი სახელმწიფოების მიმართ გამოიყენება. თუმცა აქვე უნდა

¹⁶¹ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) & Directorate for Justice and Human Dignity of the Directorate General of Human rights and Rule of Law, Joint opinion on the Draft Law on the Temporary State Commission on Miscarriages of Justice of Georgia, CDL-AD (2013)013, Strasbourg, 17 June 2013.

¹⁶² ჰოვარდ ვერნი (2017), გვ. 15, დამატებით იხილეთ: „წულუკიანის თქმით, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა შეჩერდა“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3k8grfQ>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

¹⁶³ თორნიკე გერლიანი (2020), გვ. 10.

¹⁶⁴ იქვე.

¹⁶⁵ 2014 წლის 27 ივნისის ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, №200/42, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37YLPon>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

¹⁶⁶ იქვე, კარი III, მუხლი 13, პუნქტი 1,

¹⁶⁷ იქვე.

აღინიშნოს, რომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი, მართლმსაჯულების რეფორმირების პროცესში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ეფექტიანობის, მიუკერძოებლობის, პროფესიონალიზმისა და პოლიტიკური ჩარევისაგან თავისუფლების უზრუნველყოფაზე უთითებს¹⁶⁸ და არ საუბრობს ანგარიშვალდებულების პრინციპზე ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმის საჭიროებაზე - საკითხებზე, რომლებიც ქართული სასამართლო სისტემისათვის დღემდე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.¹⁶⁹

საქართველოს ხელისუფლებამ სასამართლო რეფორმა ხისტი ჩარევის გარეშე, კანონმდებლობის დახვეწისა და ინსტიტუციური ჩარჩოს ცვლილების გზით განახორციელა.¹⁷⁰ ხელისუფლება სწორედ ამ გზით შეეცადა, შეესრულებინა წინასაარჩევნო დაპირება სამართლიანობის აღდგენაზე, სასამართლოს დამოუკიდებელ, დეპოლიტიზებულ, ავტონომიურ და ხალხის ინტერესებზე მორგებულ სისტემად, ხოლო მართლმსაჯულების - ჰუმანურად ჩამოყალიბებაზე.¹⁷¹ ასეთი დაპირება, თავის მხრივ, უახლოესი წარსულის მძიმე დარღვევებზე რეფლექსიის პროცესში ჩამოყალიბდა და მასზე ამ დარღვევებით შემოფარებული ქართული საზოგადოების დაკვეთა ძალიან მკაფიო იყო.¹⁷²

ამასთანავე, ხელისუფლების მიერ არჩეული გზა, ფაქტობრივად, თანხვედრაში იყო ევროპულ მიდგომებთან და ვენეციის კომისიის რეკომენდაციასთან, რომელიც, სასამართლო ხელისუფლებაში ხისტად ჩარევისა და მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი კომისიისგან დამოუკიდებლად, ფართომასშტაბიანი სასამართლო რეფორმის საჭიროებაზე მიუთითებდა. კომუნისტური წარსულის მქონე სახელმწიფოებისათვის დემოკრატიზაციის პროცესში შეთავაზებული სასამართლო ხელისუფლების დომინანტური ინსტიტუციური მოდელი კი სწორედ სასამართლო ხელისუფლების პოლიტიკური ხელისუფლებისაგან მაქსიმალურად დისტანცირებას, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის გაძლიერებას გულისხმობდა, ძლიერი იუსტიციის საბჭოს დაფუძნების გზით.

რჩებოდა მხოლოდ ორი მნიშვნელოვანი საკითხი: შესაძლებელი იყო თუ არა, ქართულ სასამართლო სისტემაში არსებულ გამოწვევებთან გამკლავება, განსაკუთრებით კი სასამართლო ხელისუფლების შიგნით არსებული არაფორმალური ძალაუფლებისა და გავლენიანი ჯგუფების შესუსტება, იმ გზით, რომელიც საქართველომ აირჩია; საკმარისი იქნებოდა თუ არა მხოლოდ კანონმდებლობის დახვეწისა და ინსტიტუციური ჩარჩოს მოდიფიცირების გზით სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობისა და დეპოლიტიზების

¹⁶⁸ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XJCKYj>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

¹⁶⁹ ანა ნაცვლიშვილი, სასამართლო რეფორმა საქართველოში და ასოცირების ხელშეკრულება, ძველი ღვინო ახალ კასრში - რა იცვლება?, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, ივლისი, 2016, გვ. 3, 8, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3z7GQOe>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

¹⁷⁰ სოფო ვერძეული (საია, 2021), გვ. 4.

¹⁷¹ თორნიკე გერლიანი (2020), გვ. 10.

¹⁷² იქვე, გვ. 11.

უზრუნველყოფა, სხვაგვარად - გაამართლებდა თუ არა „ძველი ღვინის ჩასხმა ახალ კასრში“.¹⁷³

2013-2021 წლებში განხორციელებული მართლმსაჯულების რეფორმის ოთხი ტალღა, მისი შედეგები და ამ შედეგების კრიტიკული შეფასება აჩვენებს, რომ, სამწუხაროდ, დასმულ კითხვებზე პასუხი უარყოფითია: სასამართლო რეფორმის პირველი ტალღა, ხარვეზების მიუხედავად, წინგადადგმულ ნაბიჯად შეფასდა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.¹⁷⁴ კერძოდ, დაიწყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპოლიტიზების პროცესი, შემცირდა კონკრეტული ინსტიტუტების ხელში თავმოყრილი დიდი ძალაუფლება, შედარებით გაიზარდა სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა და მოსამართლეთა თვითმმართველობის როლი.¹⁷⁵ ამასთანავე, ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომელიც კანონის საფუძველზე საბჭოს არამოსამართლე წევრებისა და მოსამართლეთა წევრების ნაწილისათვის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტას და საბჭოს შემადგენლობის განახლებას ითვალისწინებდა.¹⁷⁶ მაგრამ რეფორმის პირველი ტალღის შემდეგ განვითარებულმა პროცესებმა აჩვენა, რომ ვერც საკანონმდებლო ცვლილებებმა და ვერც საბჭოს ახალი წესით დაკომპლექტების შედეგებმა სასამართლოს შიგნით არსებული არაფორმალური ძალაუფლების მდგომარეობა არსებითად ვერ შეცვალა, მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან რეფორმის საწყის ეტაპზე არჩეული, შედარებით ხისტი, მიდგომების ცვლილება მოიტანა.¹⁷⁷

ხელისუფლების მხრიდან ერთგვარი გაფრთხილების მცდელობად შეიძლება შეფასდეს რეფორმის მეორე ტალღა,¹⁷⁸ რომელიც 2010 წლის კონსტიტუციური ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, მათ შორის, უვადოდ დანიშვნამდე მოსამართლეთა საგამოცდო ვადით განწყობას ითვალისწინებდა. მიუხედავად თავად ამ ბერკეტის პრობლემურობისა,¹⁷⁹ ის, შესაძლოა, ყოფილიყო საშუალება მოსამართლეთა კორუფციის ეტაპობრივად განსაახლებლად.¹⁸⁰ თუმცა საბოლოო ჯამში ეს ცვლილებაც გავლენიანი ჯგუფის მხრიდან ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შეზღუდვის ინსტრუმენტად უფრო იქცა, ვიდრე სასამართლოს შიდა გაჯანსაღების საშუალებად.¹⁸¹

2015 წლის შემდეგ, სასამართლო რეფორმის შემდეგი ეტაპები სასამართლოს გავლენიანი ჯგუფებისა და პოლიტიკური ხელისუფლების „დაზავების“ ისტორიას ჰყვება.¹⁸² რეფორმის

¹⁷³ ანა ნაცვლიშვილი (2016), გვ. 1.

¹⁷⁴ სოფო ვერძეული (საია, 2021), გვ. 13.

¹⁷⁵ იქვე, გვ. 11-12.

¹⁷⁶ იქვე, გვ. 12.

¹⁷⁷ იქვე, გვ. 13.

¹⁷⁸ იქვე, გვ. 14.

¹⁷⁹ ვენეციის კომისიის კრიტიკული შეფასება მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნასთან დაკავშირებით, European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Joint Opinion on the Draft Law on Amendments to the Organic Law of General Courts of Georgia, CDL-AD(2014)031, Strasbourg, 14 October 2014, para. 32, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3D0Xe5p>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.

¹⁸⁰ სოფო ვერძეული (საია, 2021), გვ. 14.

¹⁸¹ ანა ნაცვლიშვილი (2016), გვ. 4.

¹⁸² სოფო ვერძეული (საია, 2021), გვ. 14; ასევე, იხ. თორნიკე გერლიანი (2020).

მესამე ტალღის განხორციელების დროში გაჭიანურებულმა პროცესმა, სასამართლოს მენეჯმენტში ჩართული მოსამართლეების ძალაუფლების კვლავ გაფართოებამ, ხელისუფლების სხვა შტოებისგან სასამართლოს იზოლაციისათვის საჭირო საკანონმდებლო ჩარჩოს გამკაცრებამ,¹⁸³ მალევე ცხადყო, რომ მმართველი გუნდის მიერ არჩევნების შემდგომ დაანონსებულმა სასამართლო სისტემის ფუნდამენტურმა რეფორმამ ფასადურობის კონტურები შეიძინა. შესაბამისად, შემდგომ პროცესებშიც, რიგი პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, სასამართლოს შიგნით ძალაუფლების გადანაწილების ლოგიკა უცვლელი დარჩა, რასაც თან დაერთო 2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებული საკითხების გაცილებით დეტალური მოწესრიგება უზენაესი კანონის დონეზე. იმ პირობებში კი, როდესაც ამ ცვლილებებით გაიზარდა სასამართლოს ფორმალურ-სამართლებრივი იზოლაცია პოლიტიკური ხელისუფლებისგან და არ არსებობს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და სახალხო ლეგიტიმაციის უზრუნველყოფის ეფექტიანი მექანიზმები, სულ უფრო მეტად დგება საფრთხის ქვეშ ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა თავად სასამართლოს შიგნით არსებული გავლენიანი პირებისაგან და მცირდება არსებული წესრიგის ცვლილების შესაძლებლობა ფართომასშტაბიანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსის გარეშე.

6. სად ვუშვებთ შეცდომას? გაკვეთილები საქართველოსთვის

სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპს მრავალი მნიშვნელობა და განმარტება აქვს, თუმცა არა კონკრეტული ნორმატიული ჩარჩო. ამასთანავე, დამოუკიდებლობა მხოლოდ ერთი საშუალებაა რეალურად სამართლიანი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების მიზნის მისაღწევად. ის არ არის საბოლოო მიზანი, არამედ მიზნის მიღწევის შესაძლებლობაა, რომელიც უნდა შეიზღუდოს, თუკი სამართლიანი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის დაბრკოლების წყარო ხდება.¹⁸⁴ შესაბამისად, სასამართლოს დამოუკიდებლობა არ არის აბსოლუტური და უნდა ექვემდებარებოდეს ბალანსს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის სახით.¹⁸⁵

ევროპაში სასამართლოს დამოუკიდებლობის ჩამოყალიბების ისტორია აჩვენებს, რომ ეს არ არის სტატიკური კონცეფცია. ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის განვითარება დროში საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო, რამაც განაპირობა წლების შემდგომ კომფორტის იმ ზონის მიღწევა, სადაც სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, ისევე როგორც ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, საფრთხის ქვეშ არ დგას. ამის

¹⁸³ იქვე, გვ. 15.

¹⁸⁴ Christina Parau (2012), გვ. 641.

¹⁸⁵ James E. Moliterno et al. (2018); Christina Parau (2012), გვ. 641.

მიუხედავად, დამოუკიდებლობის ეს ხარისხი არ არის თავისთავადი მოცემულობა და მუდმივად ზრუნვას და საჭირო ბალანსის აუცილებლობას გულისხმობს.¹⁸⁶

დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები სწორედ ახლა დგანან გამოწვევის წინაშე, როგორ შექმნან დამოუკიდებელი სასამართლო პირველად და ამასთანავე, უზრუნველყონ მათი სახელმწიფოს დამორება საკუთარი რთული წარსულისაგან. ეს არ გულისხმობს უიმედობის წახალისებას. თუმცა უპრიანი იქნება ძირითადი აქცენტების გადატანა არა სასამართლოსათვის გადამეტებული დამოუკიდებლობის მინიჭებასა და ამ მიზნით ფორმალური ინსტიტუციური ჩარჩოების შექმნაზე, არამედ მის სათანადო დაბალანსებაზე ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებით.¹⁸⁷ რა თქმა უნდა, პოლიტიკურ ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს გავლენა ინდივიდუალური მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, თუმცა ამ ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ აუცილებელია აქტიური და სათანადო დაკვირვება პოლიტიკური ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან სასამართლოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების ჯეროვნად განხორციელებაზე და მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე.¹⁸⁸

როგორც წარსული გამოცდილებები აჩვენებს, ინდივიდუალური სახელმწიფოები ასევე თანაბრად ინდივიდუალურ მიდგომებს საჭიროებენ. ამის კარგი მაგალითია წინამდებარე ნაშრომში განხილული სლოვაკეთისა და რუმინეთის სასამართლო რეფორმები. კომუნისტური წარსულის მქონე ქვეყნებისგან, ევროპას, შეიძლება ითქვას, ძალიან დიდი მოლოდინები ჰქონდა სასამართლოს ინსტიტუციურ მოწყობასთან და ინდივიდუალურ მოსამართლეთა მსოფლმხედველობის ცვლილებასთან დაკავშირებით. სწორედ ამან უზიდავს ევროპულ ინსტიტუციებს კონკრეტული ამბიციური ინსტიტუციური რეფორმების მხარდამჭერი რეკომენდაციების გაცემისკენ.¹⁸⁹ თუმცა, სამწუხაროდ, ამ რეფორმების დომინანტური მიზანი ტრანზიციული დემოკრატიის ქვეყნებში ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მხრიდან აღიარება უფრო იყო, ვიდრე საკუთრივ მართლმსაჯულების ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირება.¹⁹⁰ ეს პროცესი მოკლებული იყო ადგილობრივ დონეზე ფართო და ინკლუზიურ დისკუსიას, წარსულის გამოცდილებების სათანადოდ გადააზრებას. სახელმწიფოები, რომლებსაც საკუთარი წარსული რეპუტაციისგან სწრაფად გათავისუფლება და ევროპისათვის „ფეხის აწყობა“ სურდათ, დიდი განსჯის გარეშე დათანხმდნენ ნაკლებად რადიკალური, თუმცა გარე თვალისათვის უფრო მკაფიოდ აღსაქმელი რეფორმების განხორციელებას, რამაც საბოლოოდ სასიკეთო შედეგები არ გამოიღო.¹⁹¹

შედეგად, სასამართლო ხელისუფლებისათვის უკონტროლო დამოუკიდებლობის მინიჭებამ, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის სათანადო მექანიზმების შეუქმნელად, ამ ქვეყნებში ხელსაყრელი პირობები შექმნა კორუფციის, კორპორატივიზმისა და

¹⁸⁶ James E. Moliterno et al. (2018) გვ. 548.

¹⁸⁷ იქვე, Also, Daniel Smilov (2006), გვ. 313-334.

¹⁸⁸ იქვე, გვ. 548.

¹⁸⁹ James E. Moliterno et al. (2018). გვ. 548-550.

¹⁹⁰ Denis Preshova et al. (2007), გვ. 9.

¹⁹¹ Michal Bobek & David Kosar (2013), გვ. 1274.

ნეპოტიზმისათვის.¹⁹² დაუბალანსებელმა ძალაუფლებამ სასამართლო ელიტების ხელში მოიყარა თავი, რომლებიც წინა რეჟიმის პერიოდშიც ამ სისტემაში მსახურობდნენ. შესაბამისად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის გზაზე გაჩენილმა უეცარმა შესაძლებლობებმა, ელიტებს საშუალება მისცა, ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხის მკვეთრად შემცირების ხარჯზე, ხელში ჩაეგდოთ სასამართლო ხელისუფლება და ის საკუთარი ინტერესებისთვის გამოეყენებინათ.

ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში სასამართლო რეფორმა უმეტესად მხოლოდ ინსტიტუციურ დონეზე განხორციელდა, „დიზაინისა“ და პროცედურული საკითხების დახვეწის გზით, თუმცა არ მომხდარა მენტალური გარდატეხა თავად ინდივიდუალურ მოსამართლეთა დონეზე. შესაბამისად, ამ ქვეყნებში სასამართლო, გამონაკლისების გარდა, ვერ იქცა ინსტიტუტად, რომელიც „დაიმსახურებდა“ დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის ამგვარ ხარისხს და ის დღემდე სამართლიანად იმსახურებს საზოგადოების უნდობლობას.¹⁹³

საქართველო, სლოვაკეთისა და რუმინეთის მსგავსად, კიდევ ერთი სამწუხარო მაგალითი აღმოჩნდა კომუნისტური წარსულის მქონე იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში ნაკლებად შეძლეს საკუთარი წარსული გამოცდილების სათანადოდ გადააზრება. უახლოესი წარსულის მძიმე დარღვევებზე საზოგადოების რეფლექსია და ემოციური მიდგომები სრულებით არ აღმოჩნდა საკმარისი სასამართლო ხელისუფლების დემოკრატიული ღირებულებების შესაბამისად გარდასაქმნელად საჭირო სწორი გზის ასარჩევად. სხვაგვარად, ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ როგორი სასამართლო არ გვინდა გვექონდეს, ხშირ შემთხვევაში, სულაც არ გულისხმობს ასეთივე კონსენსუსს პასუხზე - როგორი უნდა იყოს ის, არსებული ისტორიული, სამართლებრივი და კულტურული კონტექსტების გათვალისწინებით.

თავის მხრივ, ხელისუფლება სასამართლო რეფორმის განხორციელებას შეუდგა დეტალური ხედვის შეუმუშავებლად, თუ როგორი მართლმსაჯულების სისტემის შექმნა იყო მიზანი, რა ნაბიჯების და რა ტემპით გადადგმა - აუცილებელი. რეფორმას წინ არ უძღოდა არც საჭიროებებისა და რისკების შეფასება და არც 2012 წლამდე არსებული რეალობისა და წარსულის ცუდი გამოცდილების ანალიზი.¹⁹⁴ ამგვარმა მიდგომამ კი ბუნებრივად გააჩინა სხვა სახელმწიფოთა „საუკეთესო პრაქტიკის“ მექანიკურად გაზიარების ცდუნება და გვერდი აუარა სასამართლო სისტემის რეალური გაჯანსაღებისათვის ინდივიდუალური გზების ძიების რთულ პროცესს. საზოგადოებრივი მსჯელობა და შემდგომში განხორციელებული რეფორმების შიდასახელმწიფოებრივი ლეგიტიმაცია, ფაქტობრივად, ჩაანაცვლა სხვა სახელმწიფოთა, უფრო კონკრეტულად კი, ევროპის, „საუკეთესო პრაქტიკაზე“ სწორებამ. ეს კი იმ ფონზე, როდესაც თავად ევროპული ინსტიტუტები აღმოჩნდნენ მცდარი

¹⁹² Christina Parau (2012), გვ. 640.

¹⁹³ James E. Moliterno et al. (2018), გვ. 550.

¹⁹⁴ ანა ნაცვლიშვილი (2016), გვ. 6.

შთაბეჭდილების ქვეშ, რომ დემოკრატიზაციის პროცესში მყოფ პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოებში, სასამართლოს ძირეულად გარდასაქმნელად, სწორი და საკმარისი ნაბიჯი მათი პოლიტიკური ხელისუფლებისა და ელექტორატისგან ხისტი იზოლაცია და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ძალიან მაღალი ხარისხი იყო.

შედეგად, საქართველოში განხორციელებულმა რეფორმებმა, საბოლოო ჯამში, ვერც პოლიტიკური ხელისუფლებისგან სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობა უზრუნველყო და ფასადური, ფორმალურ-სამართლებრივი დამოუკიდებლობის გარანტიებით პასუხისმგებლობის ადრესატებიც ბუნდოვანი გახდა.¹⁹⁵ პოლიტიკურმა ხელისუფლებამ არათუ ვერ გამოავლინა სასამართლო სისტემის რეალური რეფორმის განხორციელების მყარი ნება და მზაობა, არამედ, საბოლოოდ ხელი შეუწყო გავლენიანი ჯგუფების მიერ საკუთარი პოზიციების გამყარებას და სასამართლო ხელისუფლების მთლიანად ხელში ჩაგდებას. მმართველი გუნდის მიერ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაპირებული სასამართლო რეფორმა ჯერ მასსა და კლანს შორის დაპირისპირების, ხოლო შემდგომ - გარიგების საგნად იქცა.¹⁹⁶ შედეგებმა კი სასამართლო ხელისუფლებას კვლავ პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი, ჩაკეტილი ინსტიტუტის სახე შეუნარჩუნა, რომელიც ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის ეფექტიანი მექანიზმების გაუთვალისწინებლობის პირობებში, თავად უქმნის საფრთხეს ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას.¹⁹⁷

ამ პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად ქართული სასამართლოს როლი და პოზიციონირება. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ვხვდებით ინდივიდუალურ მოსამართლეებს, რომლებიც პროგრესულად მსჯელობასა და კრიტიკული მოსაზრებების საჯაროდ გახმოვანებას ცდილობენ, იქ, სადაც პოლიტიკური და გავლენიანი ჯგუფების ინტერესები იჩენს თავს, სასამართლო კვლავ მორჩილი ინსტიტუციის როლშია. ის საკუთარ ინსტიტუციურ სიძლიერეს ეძებს არა ავტორიტეტულ, სამართლიან, პროგრესული იდეებით განმსჭვალულ მართლმსაჯულებაში, არამედ კონკრეტულ ვითარებაში ძალაუფლებაში მყოფ ჯგუფებთან გარიგებებში.¹⁹⁸

შედეგად, ქართულ სასამართლო სისტემაშიც არსებობს ყველა ის პრობლემური ასპექტი, რომლისთვისაც სასამართლოს ინსტიტუციური მოწყობის „ევროპულ მოდელს“ სულ უფრო მკაცრად აკრიტიკებენ და სასიცოცხლოდ აუცილებელია ადგილობრივ დონეზე ამ კრიტიკაზე ფართომასშტაბიანი დისკუსიის დროულად დაწყება, განსაკუთრებით იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომ ბოლო თვეების განმავლობაში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე, სულ უფრო ხშირია მითითება სასამართლო სისტემის ძირეული რეფორმის საჭიროებაზე.

¹⁹⁵ სოფო ვერძეული (საია, 2021), გვ. 5-6; ასევე, იხ. თორნიკე გერლიანი (2020).

¹⁹⁶ სოფო ვერძეული (საია, 2021), გვ. 71.

¹⁹⁷ იქვე, გვ. 71-72.

¹⁹⁸ სოფო ვერძეული (საია, 2021), გვ. 4-5.

კრიტიკა განსაკუთრებით მკაფიო და მზარდია საერთაშორისო საზოგადოებისა და თავად ევროპული ინსტიტუტების მხრიდან. ქართულ სასამართლო რეალობას, უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების მაგალითზე, ვენეციის კომისიამ „უჩვეულოც“ კი უწოდა, რაც მისივე მითითებით, ისეთი განსაკუთრებული ზომების მიღებას მოითხოვს, რაც არ არის სტანდარტი სხვა წევრი სახელმწიფოებისათვის.¹⁹⁹ ცხადია, სასამართლო რეფორმის საკითხი შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი დისკუსიის შედეგად უნდა გადაწყდეს. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი კრიტიკული შეფასებები, ერთი მხრივ, გამოიყენებოდეს სწორედ შიდა დონეზე ასეთი დისკუსიის გასაძლიერებლად, ხოლო, მეორე მხრივ, კიდევ ერთ მნიშვნელოვან მაგალითად იქცეს თავად საერთაშორისო და ევროპული ინსტიტუტებისათვის, მათ მიერ მხარდაჭერილი სასამართლო რეფორმებისა და ინსტიტუციური მოდელის კრიტიკულად გადასაზრებლად. სხვაგვარად, არსებობს რისკი, რომ ფართო სურათის დანახვის გარეშე, სასამართლო სისტემაში მომავალში განხორციელებულმა ცვლილებებმა უბრალოდ რეფორმის მომდევნო, მეხუთე ტალღის სახე მიიღოს. დღეისათვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით კი, ნაკლებად სავარაუდოა, მიმდინარე რეფორმის მომდევნო ტალღამ, თავად არსებული ინსტიტუციური მოწყობის კრიტიკულად გადაუზრებლად, რაიმე ხელშესახები და გარდამტეხი შედეგი მოიტანოს.

¹⁹⁹ European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Opinion on the Draft Organic Law Amending the Organic Law on Common Courts, CDL-AD(2020)021, Strasbourg, 8 October 2020, para.18, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sy8CRc>, წვდომის თარიღი: 08.10.2021.